ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 მარტი 2001 №49 (1322) | ფასი 50 თეთრი


# 8000 კილომეტრი ჰაერში




# საქართველოს ნაკრები დაფრინავს. თამაშამდე

**გუშინ**, ჩვენი დროით 20 საათისთვის საქართველოს ნაკრები გერმანიაში, ბონის მახლობელ ჰენეფში შეიკრიბა და რუმინელებთან მატჩისთვის სამზადისიც დაიწყო. თუმცა, საამისოდ გრძელი გზის გავლა მოუხდა — თბილისი — სტამბოლი — დიუსელდორფი თვითმფრინავით და იქიდან ჰენეფამდე ავტობუსით.

იქით-აქეთ ეს გზა, თბილისიდან თბილისამდე 8 000 კილომეტრზე მეტია. და თუ ამას გერმანული შეკრების ადგილამდე ლეგიონერთა მგზავრობის დრო-მანძილსაც დავუმატებთ, საშინაო თამაშის კვალობაზე დიდი და უცნაური მოგზაურობა გამოვა.

წუხელ ჰენეფში ეროვნული გუნდის მწვრთნელთაგანს რევაზ ძოძუაშვილს რომ დავუკავშირდით, იმ დროისთვის ნაკრებში გამოძახებულთაგან სასტუმროში მხოლოდ თხუთმეტნი იყვნენ, მაგრამ როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, შვეიცარიულ „ციურიხში" მოთამაშენი გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი, გერმანული „ფრაიბურგის" ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილიც მათთან ერთად იქნებიან, მეხუთე კი... მეხუთე, რა თქმა უნდა, მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდი ზაზა ჯანაშიაა. ძოძუაშვილის თქმით, ჯამარაული და ყაველაშვილი სავიზო ფორმალობების მოგვარებამ შეაბრკოლა, კობიაშვილი და იაშვილი, უბრალოდ, შეგვიანებულან, ჯანაშიამ კი, რაღაც პრობლემა შემექმნაო და მას დღეისთვის ელიან. ისე, შეუერთდება თუ არა ჯანაშია ნაკრებს, ეს კიდევ საკითხავია.

იქ მყოფებმა კი გუშინვე საათნახევარი ივარჯიშეს.

— ძალიან კმაყოფილები ვართ. ამ ბაზაზე მართლაც იდეალური პირობებია. სამი ხავერდივით მოედანია. ჩვენთან ერთად გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებიც ემზადება. დღეს ერთხელ ვივარჯიშეთ, ხვალიდან ორჯერადზე გადავალთ. გიორგი ნემსაძეს მუხლი აწუხებს, მაგრამ კლუბის ექიმებს დაუმშვიდებიათ, სანერვიულო არაფერიაო და ხვალ საღამოს, ალბათ, ისიც გუნდთან ერთად ივარჯიშებს. 23 ან 24 მარტს ერთი საწვრთნელი მატჩი კი გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ ვისთან ჯერ ვერ გეტყვით, შესაძლოა, გუნდი ორად გავყოთ და ერთმანეთშიც ვათამაშოთ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელმაც ესეც დასძინა, 24 მარტს ბუქარესტში რუმინეთ — იტალიის მატჩს დავით ყიფიანი დაესწრებაო.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ნაკრების მეტოქეთა შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე

# პრივატიზაციის ზვიგენები და დელფინები ვაკის აუზში

## ძალიან ხომ არ გადავამლაშეთ?

*რას იფიქრებდნენ 1961 წლის იმ მშვენიერ დღეს დიდი ხნის ნანატრი ვაკის საცურაო აუზის საზეიმოდ გახსნაზე შეკრებილნი, რომ იქ ხალხი კი არა, დელფინები იცურავებდნენ. იცურავებდნენ იმ აუზში, რომელსაც ახსოვს ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორთა შეჯიბრი; ახსოვს წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობების მონაწილეთა ულამაზესი გამოსვლები, მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირები, წყალბურთელთა დიდი ბატალიები, წყალქვეშ ცურვაში დამყარებული მსოფლიოს რეკორდები, სინქრონულ მოცურავეთა მიერ წყალში დახატული უმშვენიერესი ფიგურები და ხალხით გადაჭედილი ტრიბუნები. ეს ყველაფერი იყო, დღეს კი ვაკის აუზის წყალში ტონობით მარილი ჩაიყარა და შიგ დელფინები დგაფუნობენ.*

იხილეთ მეცხრე გვერდი





[illegible] ფოტოები

დელფინი კეთილი და ინტელექტუალური არსებაა: მათ ესმით ადამიანების, ადამიანებს კი ერთმანეთის — არა

# რუმინეთი უმუტუოდ დარჩა

გუშინ, საქართველოს ეროვნული ნაკრები გერმანულ ჰენევში გაემგზავრა 28 მარტს რუმინეთთან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მოსამზადებლად. თბილისში ჩამოსვლამდე კი რუმინელებს შაბათს ბუქარესტში იტალიელებთან ელით ურთიერთობის გარკვევა. შაბათსვე მერვე ჯგუფში კიდევ ერთი თამაშია — უნგრეთი ლიტვას მასპინძლობს.

რუმინელთა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ იტალიელთა დასახვედრად რჩეულ ფეხბურთელებს უხმო, თუმცა სერია A-ში მოთამაშე ადრიან მუტუ კი მოისაკლისა.

რუმინელთა ვერონელი თავდამსხმელი ამ უქმეებზე „ვიჩენცასთან" მატჩის 79-ე წუთზე დაიმტვრა. ლადისლაუ ბოლონიმ ორშაბათს თქვა: მუტუს ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდით, სამწუხაროდ, მუხლზე ოპერაცია სჭირდება და თან სასწრაფოდ.

ცხადია, ფეხბურთელის ტრავმა სასიხარულო არაა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მეტოქე ძლიერი თავდამსხმელის გარეშე რომ დარჩება, ამით მაქსიმალურად უნდა ისარგებლო.

ორშაბათსვე ბოლონიმ თქვა, იტალიასა და საქართველოსთან ლაურენტიუ როსუს არ დავიხმარო. ნუმანსიელი ნახევარმცველი, რომელმაც კვირას „ბარსელონასთან" ოცდაათი წუთი ითამაშა, ბოლო დროს კარგ ფორმაში არაა და ნაკრების მწვრთნელმაც ამიტომ დაიწუნა.

სამაგიეროდ, თბილისში ჩამოვა ვალენსიელი ადრიან ილიე, რომელსაც კუნთის დაშავების გამო ორი თვე გაუცდა. შაბათს იტალიასთან ილიეს თამაში საეჭვოა, საქართველოსთან კი, ალბათ, იგი სასტარტო შემადგენლობაშიც იქნება.

აქვე, ჩვენი მეტოქეების იმ შემადგენლობებს გაეცანით, საშაბათო მატჩებისთვის რომ მწვრთნელებმა შეკრებებზე იხმეს.

**გიორგი დარჯანია**

ნებისმიერი საფეხბურთო ანგარიში, უახლესი ინფორმაციები
NHL და NBA.
ცნობები ცნობილაძისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

**2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 24 მარტი**

## რუმინეთი — იტალია

**რუმინეთის ნაკრები**

**მეკარეები**

ბოგდან სტელეა (სალამანკა, ესპანეთი), ფლორინ პრუნეა (დინამო)

**მცველები**

კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ლიუიუ ჩობოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), ადრიან იენჩი, ტიბერიუ ჯოანე (ორივე რაპიდი), დანიელ პროდანი (სტიაუა), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), კრისტიან კიუუ (აიაქსი, ჰოლანდია)

**ნახევარმცველები**

კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), კატალინ მუნტეანუ (სალამანკა, ესპანეთი), დენის სერბანი (ელჩე, ესპანეთი), პოლ კოდრეა (ჯენოა, იტალია), ალინ სტოიკა (ანდერლეხტი, ბელგია)

**თავდამსხმელები**

ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია), მარიუს ნიკულაე (დინამო)

**იტალიის ნაკრები**

**მეკარეები**

ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა)

**მცველები**

ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), ფაბიო კანავარო (პარმა), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე ლაციო)

**ნახევარმცველები**

დემეტრიო ალბერტინი, ჯენარო გატუზო (ორივე მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (უდინეზე), დამიანო ტომაზი (რომა), ჯანლუკა პესოტო, ჯანლუკა ძამბროტა (ორივე იუვენტუსი)

**თავდამსხმელები**

ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა (ორივე რომა), ენრიკო კიეზა (ფიორენტინა)

## უნგრეთი — ლიტვა

**უნგრეთის ნაკრები**

**მეკარეები**

გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (ბრედა, ჰოლანდია), ფაბოლც საფარი (ზალცბურგი, ავსტრია), ლაიოშ შუცი (ფერენცვაროში)

**მცველები**

დიორდ კორსოში (შტურმი, ავსტრია), იანოშ ჰრუტკა (ფერენცვაროში), ჟოლტ შებოკი, იანოშ მატიუში (ორივე კოტბუსი, გერმანია), ტამაშ იუჰარი (ვაშაში)

**ნახევარმცველები**

ჩაბა ფეჰერი (ბრედა, ჰოლანდია), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანია), ვასილე მირიუტა (კოტბუსი, გერმანია), გაბორ ჰალმაი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), ბელა ილეში (მტკ), ნორბერტ ტოტი (ვაშაში), იშტვან პიშონტი (მაკაბი, ნეთანია, ისრაელი), ზოლტ დვერი (უიპეშტი)

**თავდამსხმელები**

ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), მიკლოშ ფეჰერი (ბრაგა, პორტუგალია), ატილა ტოკოლი (დუნაფერი), პეტერ კაბატი, ტომაშ პორტეში (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), გაბორ ეგრეში (ზალაეგერსეგი), ტამაშ ნადი (შოპრონი)

**ლიტვის ნაკრები**

**მეკარეები**

ვაიდოტას ჟუტაუტასი (რამათგანი, ჰაკოახი, ისრაელი), გინტარას სტაუჩე (დუისბურგი, გერმანია)

**მცველები**

დაინიუს გლევეცკასი (შახტარი, უკრაინა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), ანდრიუს სკერლა (დანფერმლაინი, შოტლანდია), ანდრიუს ცეკშასი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როლანდას ჯიაუკსტასი (ბალტიკა, რუსეთი), იგნას დედურა (ტორპედო ზილ, რუსეთი)

**ნახევარმცველები**

დეივიდას შემბერასი (დინამო, რუსეთი), ტომას რაჟანაუსკასი (ბრანი, ნორვეგია), რაიმონდას ჟუტაუტასი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), ირმანტას სტუმბრისი? (სკონტო, ლატვია), საულიუს მიკალაიუნასი (ტორპედო ზილ, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (დანფერმლაინი, შოტლანდია)

**თავდამსხმელები**

ედგარას იანკაუსკასი (მაინცი, გერმანია)? — რიმანტას ჟვინგილასი (ტორპედო, რუსეთი), ედგარას იანკაუსკასი (სოსიედადი, ესპანეთი), რობერტას პოშკუსი (ფალკირკი, კატანია?), ვალდას ტრაკისი (ტორპედო, რუსეთი)



ფილიპო ინძაგი (მარცხნივ) და კრისტიან კიუუ ერთმანეთს ბუქარესტშიც უნდა შეხვდნენ

## ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჯილინგემი 2:1 ტრანმირი

გრიმსბი 1:1 ბირმინგემი

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

რედინგი 0:1 ბერი

კოლჩესტერი 0:1 სუინდონი

უიკომბი 0:1 როტერჰემი

როვერსი — პიტერბრო

გადაიდო

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჩელტენემი 1:1 იორკი

შრუსბერი 1:0 კიდერმინსტერი

ლეიტონი 1:0 ბლექპული

## პოლონეთი

ლიგის თასის 1/2 ფინალი

1 მატჩი

პოლკოვიცე (II) 0:0 ზაგლები

## ჩეხეთი

თასის 1/8 ფინალი

ხომუტოვი (II) 0:3 სპარტა

მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

# წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

## „ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდამჭერა რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლიუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

იქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA

სარბიელი

## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..........
2. საუკეთესო მეკარე ..........
3. საუკეთესო მცველი ..........
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..........
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..........
6. საუკეთესო მწვრთნელი ..........
7. საუკეთესო მსაჯი ..........
8. საუკეთესო გუნდი ..........
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ..........

..........

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

# ქართული დუჟინი

## ექვსნი ჩვენ, ექვსნი თქვენ

საქართველოს 12 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 21 ტური



ლოკომოტიველი დავით ჩიჩველიშვილი (შუაში) ორმა მეტოქემაც ვერ გააჩერა

**დიდი** არეულობისა და ჭრაქაალულვის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. 18 მარტს გასრულებულმა ოცდამეერთე ტურმა გუნდებს საბოლოო საფიქრალი გამოუკვეთა. დღეიდან ექვსი უმაღლესლიგელი საპრიზო ადგილებისთვის და თასისთვის იბრძოლებს, ექვსიც ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. წინ დიდი დაძაბულობა და არაერთი საინტერესო მატჩია მოსალოდნელი. თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე კი რა მოგახსენოთ.

ექვსეულთან ერთად ისიც გაირკვა, რომ „ლოკომოტივი" გათამაშების პირველი ეტაპის ჩემპიონი შეიქნა. მეორე წრის ბოლო თამაშში, შესაძლოა მოულოდნელად, რკინიგზელებს მეტოქე ვერ გადასწრებს.

„დინამოს" აქვს შანსი, ჩემპიონი უკან ჩამოიტოვოს, მაგრამ „ტორპედო" ამას არ შეურიგდება. „ვიტ ჯორჯია", ყველა შესაძლო ვარიანტში, ჯერჯერობით მეოთხეა. „მერანს" მეექვსეობა უკვე არ აკმაყოფილებს და წინსვლაზე ფიქრობს. „კოლხეთს" თავისი პრობლემები აწუხებს, თუმცა მათი ჩამოწერა ნაადრევია, რადგან „ფაზისის" ბინადართა გამოცდილება და ბრძოლის უნარი ცნობილია.

„ბათუმი" და „სიონი" ის გუნდები არიან, რომლებიც ლიგაში უპრობლემოდ შეინარჩუნებენ კუთვნილ ადგილებს. მებრძოლია ახალგაზრდული თსუ და არც გვეჩვენება „ბორდა" ხელწამოსაკრავი.

რაც შეეხება „დილას" და „იბერიას", მათი მომავალი ძნელად განსაჭვრეტია. უამრავი პრობლემა და ხარვეზი დაგროვებიათ გავარდნის ყველაზე რეალურ კანდიდატებს.

ყველაფერი ბათუმში გაირკვა. ტურის ცენტრალურ მატჩში ბალაძისა და გაბელიას შეგირდები აპირებდნენ ერთმანეთის დატერვას, დატერილები საბოლოოდ მსაჯები აღმოჩნდნენ, „ბათუმი" კი დამარცხდა.

70-ე წუთამდე ყველაფერი ნორმალურად იყო. მერე სტუმარ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა და... მოხვდა თუ თამაშა? მსაჯმა სხვაგვარად გადაწყვიტა, მასპინძლებმა იფიქრეს, გულგრილნი და მეკარის ნერვები ვერ მოითმინა. კანაკლული დარჩა „ბათუმი", თუმცა ანგარიში მაინც გაათანაბრა.

ცოტა ხანში ნაჭყებიას მოგერიებულ და ფეხბურთელიდან ასხლეტილ ბურთს მეკარის ბაქნიდან მეგარმა მეჭეტაძემ საგოლედ დაჰკრა, თუმცა თანაშემწე ელიკაშვილის აღმართული ალამი „ბათუმისთვის" სასიკეთოს არას მოასწავებდა.

ვიღაცამ დამცავი ლობე გადალახა, თანამსაჯამდე ფეხბურთელებმა არ მიუშვეს, მაგრამ ელიკაშვილს თავად მოთამაშეებისგანაც არ დაჰკლებია. თამაში შვიდი წუთით შეწყდა, ფანიაშვილმა კიდევ ერთი ბათუმელი გააძევა. „ბათუმის" ხელმძღვანელებმა ელიკაშვილი ხვეწნა-მუდარით დაიყოლიეს, მინდორზე დარჩენილიყო. ამასობაში „მერანმა" გამარჯვება გაიტანა და ექვსეულიც დაკომპლექტდა.

„ბათუმი" — „მერანის" დრამატული დაპირისპირების გაგრძელება ფეხბურთის ფედერაციაში შედგება. თავისი არგუმენტები ექნებათ კარის მასპინძლებს და, რა თქმა უნდა, მსაჯებსაც. ურიგო არ იქნებოდა, იმ სკანდალური მატჩის სადავო მომენტები ვიდეოფირზე გვენახა. მერე კი საბოლოო კომენტარის გაკეთებაც შეიძლება.

მანამდე კი, ამითაც შემოვიფარგლოთ და სპეციალისტების კომპეტენტურ განწყობილებებს დაველოდოთ.

ფოთში ნავსი გატეხა ვიცე-ჩემპიონმა და სამი წლის მანძილზე ქულა პირველად წამოიღო „ფაზისიდან". მატჩის თვითმხილველთა თქმით, „ვიტ ჯორჯიაზე" სამი ქულაც ადვილი იქნებოდა, მაგრამ რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი გააფუჭეს ვიტელებმა და „კოლხეთსაც" გათანაბრების შანსი დაუტოვეს.

„კოლხეთი" თამაშის დამლაგებელ შეასახელს ეძებს, მაგრამ ვერ უპოვია. დედანიძეს ოჯახური პრობლემები აქვს — თქვა ფილიამ, ახლა თუ სხვაგვარად, ფოთელებს მეექვსე საფეხურს ვერავინ შეეცილება.

„ლოკომოტივმა" არ დაინდო „დილა". ერთბაშად ხუთი გოლი გაუშვეს გორელებმა, დუბლი გააფორმეს რუსიამ და შენგელიამ. ნოდიამ გოგიჩაიშვილი და შალი დაასვენა. ცხადაძე და აწიბაძეც რომ არ ეთამაშებინა, მაინც აჯობებდა სტუმარს.

ვერას გახდა ახალგაზრდული თსუ ჩემპიონთან. ორი გოლი იკმარა „ტორპედომ". ქუთაისელთა პირველი გოლი მცველმა აბრამიძემ გაიტანა, მეორე აშვეთიამ პენალტიდან შეაგდო. ნელ-ნელა იზრდება მისი მონაგარი.

„დინამო" „იბერიას" გაუსწორდა და ამაში არაფერი იყო გასაკვირი. ბოლო ოფიციალური მატჩი თამაშა დიღმის ბაზაზე ათეხის ჩემპიონმა, რომელიც მალევე დაბრუნდება „ეროვნულზე".

მკვდარი თამაში ყოფილა ბოლნისში. ფეხბურთელთა გამოსაცოცხლებლად წამალი ისევ „სიონის" ქომაგებმა იპოვეს. ხმა დაირხა, გამგეობა, გუნდისთვის ბევრი სიკეთის მომტანი ზურაბ ჯაფარიძე მოდისო და...

ცოტა მეტი მოუვიდა არბიტრ კვარაცხელიას, 76-ჯერ დანიშნა ჯარიმა და ისედაც მიძინებული ფეხბურთელები მთლად გაასავათა.

ოცდამეერთე ტური უხვგოლიანი და მასპინძლებისა გამოდგა. 4 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება მათ უპირატესობაზე მიუთითებს. 17 გატანილი გოლიდან 14 მათ ანგარიშზე მიდის.

მომდევნო, თითქმის არაფრისმთქმელი ტური მეთორმეტე ეროვნულის მეორე წრეს დაასრულებს. მარტის ბოლო დღეს მცხეთაში ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონი ერთმანეთს დაუპირისპირდება და აპრილში ქულებიც გაიყოფა. მერე კი ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი.

**მამუკა ქვანტალიანი**

### სტატისტიკა

| | |
|---|---|
| მატჩი | 6 |
| გოლი | 17 |
| მასპინძელთა მოგება | 4 |
| ფრე | 1 |
| სტუმართა მოგება | 1 |
| საერთო დასწრება | 8 200 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 366 |
| საუკეთესო დასწრება (ტორპედო — თსუ) | 3 000 |
| მწირი დასწრება (დინამო — იბერია) | 200 |

| ბათუმი 1:2 მერანი | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 20 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 0 | თამაშგარე | 5 |

| ლოკომოტივი 5:0 დილა | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 10 |
| 11 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

| დინამო 3:0 იბერია | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 17 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 8 | კარში დარტყმა | 1 |
| 6 | თამაშგარე | 4 |

| კოლხეთი 1:1 ვიტ ჯორჯია | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 23 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 3 | კარში დარტყმა | 2 |
| 2 | თამაშგარე | 9 |

| სიონი 2:0 ბორდა | | |
|---|---|---|
| 35 | დაჯარიმდა | 41 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

| ტორპედო 2:0 თსუ | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 20 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 15 – ზირაქიშვილი | დინამო |
| 11 – დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 10 – რეხია | ლოკომოტივი |
| 9 – იონანიძე | ტორპედო |
| გადელია | დინამო |
| 8 – ა. მუჯირი | ბათუმი |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| 7 – გ. მ. მიქაძე | დინამო |
| 6 – აფხაზავა | ბათუმი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| წუწუნავა | ვიტ ჯორჯია |






დინამოელ ზაზა ხამარაძეს (მარცხნივ) მოწინააღმდეგემ ბურთი ხელებით დაუფარა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 40:7 | 33 | 53 | 11 | 10 | 0 | 1 | 27:3 | 24 | 30 | 10 | 7 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 23 |
| 2 ტორპედო | 21 | 14 | 5 | 2 | 33:7 | 26 | 47 | 11 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 15 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 14:3 | 11 | 21 |
| 3 დინამო | 21 | 14 | 3 | 4 | 50:19 | 31 | 45 | 11 | 9 | 0 | 2 | 33:7 | 26 | 27 | 10 | 5 | 3 | 2 | 17:12 | 5 | 18 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 7 | 4 | 29:15 | 14 | 37 | 10 | 7 | 1 | 2 | 13:2 | 11 | 22 | 11 | 3 | 6 | 2 | 16:13 | 3 | 15 |
| 5 მერანი | 21 | 8 | 8 | 5 | 22:20 | 2 | 32 | 10 | 4 | 6 | 0 | 12:6 | 6 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | -4 | 14 |
| 6 კოლხეთი | 21 | 8 | 7 | 6 | 22:17 | 5 | 31 | 11 | 5 | 5 | 1 | 9:5 | 4 | 20 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 |
| 7 ბათუმი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:29 | 0 | 25 | 11 | 5 | 2 | 4 | 20:16 | 4 | 17 | 10 | 2 | 2 | 6 | 9:13 | -4 | 8 |
| 8 სიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 17:28 | -11 | 25 | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | -3 | 12 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 13 |
| 9 თსუ | 21 | 5 | 3 | 13 | 19:37 | -18 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:21 | -11 | 8 |
| 10 ბორდა | 21 | 3 | 9 | 9 | 15:27 | -12 | 18 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 11 | 0 | 4 | 7 | 3:19 | -16 | 4 |
| 11 დილა | 21 | 4 | 3 | 14 | 13:44 | -31 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 11 | 11 | 1 | 1 | 9 | 2:27 | -25 | 4 |
| 12 იბერია | 21 | 0 | 3 | 18 | 3:42 | -39 | 3 | 10 | 0 | 2 | 8 | 1:19 | -18 | 2 | 11 | 0 | 1 | 10 | 2:23 | -21 | 1 |

# შოთაობა ამსტერდამში

**ოთხი გოლი** ერთ მატჩში თავდამსხმელისთვის დიდებული და თანაც იშვიათი შედეგია. ისეთი, კარიერაში ერთი-ორჯერ, ანაც საერთოდ რომ არ მოხდება. კვირას „აიაქსმა“ თავის „არენაზე“ „სპარტა“ დაანგრია, ცხრა უპასუხო ბურთი გაუტანა, აქედან ოთხი კი შოთა არველაძემ შეაგდო: „რა ვიცი, მგონი კარგ ფორმაში ვარ — გვითხრა შოთამ ამსტერდამში რომ შევეხმიანეთ — ყველაფერი კი მაინც რუმინეთთან სანაკრებო მატჩისას გამოჩნდება. მართალია, 9:0 მოვიგეთ, მაგრამ ამ ერთი თამაშით ძნელია ვთქვა, სასურველ ფორმაში ვარ, თუ არა. ისე კი, რა თქმა უნდა, გამიხარდა რუმინელებთან მატჩამდე ერთბაშად ოთხი გოლი რომ გავიტანე. ვნახოთ, ვეცდები, არც 28 მარტს დავტოვო მოედანი უგოლოდ.“

კო ადრიანსემ, „აიაქსის“ მწვრთნელმა, არველაძის მეწყვილედ შეტევაში ტანმორჩილი ბრაზილიელი ვამბერტო გაამწესა. სწორედ მან გახსნა ანგარიში, მერე კი მიყვა და მიყვა... შოთამ ერთი პირველ ტაიმში გაიტანა, სამიც მეორეში, ამათგან, ერთი პენალტით.

ბოლო დროს „აიაქსი“ მართლაც გამოფხიზლდა. მოგებასაც მოუხშირა და მესამე ადგილზეც მყარად დამკვიდრდა, რაც საგაისოდ ასე მონატრებულ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრის საგზურს იძლევა.

შოთას კი წლეულს უკვე 12 გოლი მოუგროვდა. ამდენი მას 1997-98 წლების სეზონის მერე აღარ გაუტანია. მაშინ ტყუპისცალმა 25 ბურთი შეაგდო და საუკეთესო მეგოლეთა დავაში მხოლოდ ბერძენ მახლასს ჩამორჩა, რომელიც მაშინ „ვიტესში“ თამაშობდა. შარშანწინ ქართველმა შვიდჯერ შეაგდო, ხოლო შარშან სულ ხუთჯერ, თუმცა ეს ერთი მხრივ ტრავმების, მეორე მხრივ კი, „აიაქსის“ უვარგისი თამაშის შედეგი გახლდათ.

ჰოლანდიიდან მეორე სასიამოვნო ცნობაც მოვიდა. ჩემპიონატის ლიდერმა „ეინდჰოვენმა“ „უტრეხტს“ 5:1 მოუგო, ხოლო გოგა გახოკიძემ მთელი მატჩი ითამაშა. ამ სამი კვირის წინ იყო, მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა „ფეიენოორდთან“ შეხვედრაში ოთხი წუთით რომ გაიყვანა მინდორზე. ეს გახოკიძის დებიუტი გახლდათ წლევანდელ ჩემპიონატში. მერე, წინა ხუთშაბათს, გერმანულ „კაიზერსლაუტერნთან“ უეფას თასის მატჩშიც შეცვლაზე შეიყვანა, ახლა კი 90 წუთი...

კვირას ერთი დებიუტიც შედგა. ჩეზარე მალდინიმ „მილანი“ პირველად გაიყვანა მინდორზე და აუტსაიდერ „ბარის“ 4:0 მოუგო. აქამდე სერია A-ში „შავწითლებს“ ბოლოს „რეჯინასთან“ თვენახევრის წინ გაემარჯვათ... „ბარის“ თითო კოკომ და სერჟინიომ, ორიც შევჩენკომ გაუტანეს. ბოლო გოლი უკრაინელმა სწორედ ჩვენებურის პასით შეაგდო: კალაძემ რამდენიმე მცველს შორის გააძვრინა ბურთი, შევჩენკო მეკარე ჟილეს პირისპირ შეატოვა და ამანაც ცრუმოძრაობით და გამოზომილი დარტყმით მატჩს წერტილი დაუსვა.

გერმანიაში ქართველთა ორივე გუნდმა 0:0 ითამაშა. არჩილ არველაძის „კიოლნისა“ და „ვოლფსბურგის“ შეხვედრაზე ადგილობრივი მედია ხუმრობდა, გუნდები ისე თამაშობდნენ, თითქოს თავდაუსხმელობის პაქტზე მოეწერათ ხელიო... კობიაშვილ-იაშვილიანი და უცქიტიშვილო „ფრაიბურგი“ კი გელზენკირხენში „შალკეს“ ეჭიდავა და შინ ქულით დაბრუნდა. მეორე ტაიმის დასაწყისში რომ გამართლებოდათ, ეგებ მოეგოთ კიდეც, როცა მასპინძლებს სელიმი გამოეპარათ, მაგრამ ტუნისელმა ახლოდან ძელს გაარტყა.

ჯამარაული-ყაველაშვილის „ციურიხმა“ შინ ჩემპიონობის პრეტენდენტ „გრასჰოპერთან“ წააგო და მესამედან მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა, თუმცა მეორე ეტაპი ახალი დაწყებულია და ეს კლასიფიკაციაც, ერთგვარად, პირობითია. მაგალითისთვის, ლიდერი „სენტ გალენი“ ქართველთა გუნდს სულ სამი ქულით უსწრებს.

უკრაინაში კვლავ დამარცხდა კაპანაძეებისა და ჩომახიძის „ნივა“. ამჯერად დონეცკში, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მწვრთნელის, სემიონ ალტმანის „მეტალურგთან“. სტუმართაგან ყველაზე აქტიური ტარიელ კაპანაძე ყოფილა, მაგრამ ამას ტერნოპოლელთათვის ვერ უშველია. ახლა „ნივა“ ბოლოსწინა ადგილზეა და უმაღლესი ლიგის დატოვებაც რეალურად ემუქრება.

ტრაპაიძისა და გიგიაძეების „ტავრიამ“ კი „შინ“ მიქაძის ცსკა-სთან წააგო. შინო ვამბობთ, მაგრამ რადგან სიმფეროპოლის სტადიონზე რეკონსტრუქციაა, თამაში მეზობელ არმიანსკში გაიმართა. პროვინციაში თამაშით ძალიან დაინტერესებულან, „ხიმიკის“ პატარა სტადიონი ხომ შეუვსიათ [illegible] დარჩენილა. სულ კი ექვს ათასამდე მაყურებელი მოგროვებულა. „უკრაინსკი ფუტბოლი“ წერს, დასაწყისშივე ჯერ გიგიაძეს შეეძლო გატანა, მერე ტრაპაიძეს, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენესო. საერთოდ კი, კისლოვთან ერთად ქართველები „ტავრიაში“ საუკეთესოები ყოფილან.

**ძოგა ინასარიძე**
**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| **ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:0 | 80 | შეცვალეს | 21 | 4 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:0 | 90 | | 22 | 6 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 19 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:0 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ვოლფსბურგი 0:0 | 65 | შეცვალეს | 21 | 5 | 7 |
| **მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | დუისბურგი 0:1 | 0 | | 4 | 0 | 6 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ნიურნბერგი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| **პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ლივერპული 1:1 | 0 | | 16 | 1 | 15 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | სანდერლენდი 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 9 |
| **პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | პრესტონი 0:2 | 0 | | 14 | 3 | 13 |
| | ვულვზი | შ | ვესტ ბრომვიჩი 3:1 | 0 | | 14 | 3 | 13 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| **პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | რეინჯერსი 0:0 | 89 | შეცვალეს | 26 | 1 | 7 |
| | დანდი | შ | ჰართსი 0:0 | 90 | | 27 | 1 | 7 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| **სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბარი 4:0 | 90 | საგოლე პასი | 7 | 0 | 7 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| **პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ალავესი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | სპარტა 9:0 | 90 | 4 გოლი | 18 | 12 | 3 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | უტრეხტი 5:1 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | გენკი 0:2 | 0 | | 22 | 1 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | ბრიუგე 1:1 | 0 | | 3 | 1 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 0:1 | 90 | | 24 | 9 | 6 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 0:1 | 90 | | 23 | 11 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ზილ 1:0 | 86 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | ჩერნომორეცი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | შ | ფაკელი 0:1 | 0 | | 1 | 0 | 15 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | შ | ფაკელი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| ზურაბ იონანიძე | სოკოლი | შ | როტორი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | სოკოლი | შ | როტორი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზენიტი 1:3 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ცსკა 0:1 | 84 | შეცვალეს | 12 | 1 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ცსკა 0:1 | 45 | შეცვალეს | 9 | 2 | 7 |
| სოსო გიგიაძე | ტავრია | შ | ცსკა 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | მეტალურგი 0:2 | 90 | | 13 | 6 | 13 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | მეტალურგი 0:2 | 90 | | 13 | 1 | 13 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | მეტალურგი 0:2 | 89 | შეცვალეს | 10 | 1 | 13 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | ტავრია 1:0 | 90 | | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | გურნიკი 3:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 13 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | მ. ფეთახ თიკვა 1:2 | 90 | | 24 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | აეკ 2:2 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 0 | 9 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვარლამ კილასონია | თურანი | შ | დინ. ბაკილი 2:1 | 0 | | 8 | 4 | 6 |
| გია კილასონია | თურანი | შ | დინ. ბაკილი 2:1 | 0 | | 10 | 8 | 6 |
| ჯაბა ნიკლაური | თურანი | შ | დინ. ბაკილი 2:1 | 0 | | 7 | 2 | 6 |
| მამუკა ხუნდაძე | ქიაფაზი | | | | ტური გამოტოვა | 8 | 2 | 5 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | შაფა 1:0 | 25 | შეცვალეს | 11 | 6 | 7 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



შოთა არველაძე: ერთი, ორი, სამი, ოთხი...

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე
12

# 20 ტური

# თორი ოკეანემ დაახრჩო

**ჩემპიონატის** პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ფაქტობრივად, გაირკვა უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის მებრძოლი ექვსეულის ვინაობა.

საკვანძო თამაშები წყალტუბოსა და ბორჯომში გაიმართა.

„სამგურალმა" შინაურ სარბიელზე შანსი არ დაუტოვა წნორის „მილანს" და მეოცე ტურის შემდეგ 33 ქულას მოუყარა თავი, ბორჯომში კი წყალტუბოელთა მეექვსე [illegible] ლე „თორმა", სასწა[illegible] უგო აუტსაიდერ „ოკეანეს". კახა ჯანაშიას და დავით ტარიელაშვილს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ სამტრედიელები მედგრად იდგნენ და მშრალად შეინახეს კარი. „თორმა" სეზონში მეოთხე შეხვედრა დაასრულა ფრედ. ამრიგად, ბორჯომელები 28 ქულით კვლავაც მეშვიდე ადგილზე დარჩნენ და საეჭვოა, დარჩენილ ორ ტურში უფრო ზემოთ აინაცვლონ. „თორმა" პირველი ეტაპის ბოლო ორივე მატჩში უნდა იმარჯვოს, „სამგურალი" კი ამდენჯერვე დამარცხდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გადიან ბორჯომელები ექვსეულში, რაც ერთობ საეჭვოა. შესაძლოა, „სამგურალმა" დღესვე, 21-ე ტურში ოფიციალურად გაინაღდოს ექვსეულის საგზური, საამისოდ წყალტუბოელებს ბოლოსწინა „ივერიასთან" ქულაც ჰყოფნით.

პირველად ალმოჩნდა სატურნირო ცხრილის სათავეში ზესტაფონის „მეტალურგი". იმერლებმა შინაურ სარბიელზე ლიდერი „გურია" მეორე ადგილზე ჩაანაცვლეს. გეწაძემ და ოდიკაძემ პირველ ტაიმშივე მოუმთავრეს საქმე ლანჩხუთელებს.

ადგილები გაცვალეს „შუქურამ" და „ცხინვალმა". ამ ორი გუნდის ქობულეთურ მატჩში მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს. თავისი გუნდივით მესამე ადგილზეა კალანდაძეც, ოღონდ ბომბარდირთა დავაში. ქობულეთელმა ფორვარდმა „ცხინვალთან" მატჩში სეზონში მე-12 გოლი გაიტანა.

ტრადიციულად „მოსისხლე მეტოქეების" — „ზუგდიდის" და „ხობის" მატჩი უსისხლოდ და სტუმართა სრული უპირატესობით დასრულდა. „ხობს" ზუგდიდში მოპოვებული სამი ქულა უთუოდ შეეშველება პირველ ლიგაში დარჩენაში. ისე, მასპინძელთა მარცხი კანონზომიერიც იყო. „ზუგდიდი" საშემოდგომო ეტაპზე ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ ადგილზე კი გამოუცდელები მივიდნენ, შედეგიც სახეზეა. წლეულს, „ზუგდიდს" ქულა რაა, ისიც კი არ აუღია. „ზუგდიდის" შინაური სარბიელის დისკვალიფიკაციის გამო ეს მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, წალენჯიხაში გაიმართა.

ჩემპიონატში მეოთხედ გაიმარჯვა „თბილისმა", თუმც ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდა.

პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტური დღეს ჩატარდება. მატჩები ძველებურად 15 საათზე დაიწყება.

**ბაათა ძვანტალიანი**

წყალტუბო
17 მარტი
15 საათი
26 მაისი
700 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 3:1 მილანი

1:0 დარსაძე (23), 1:1 ლუდუშაური (27), 2:1 ვადაჭკორია (43), 3:1 ქუთათელაძე (68)
სამგურალი: ვარდანიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, ჭილიძე, თურმანიძე, კუკიძე, დარსაძე, ჯინჭარაძე (თირქია 89), ვადაჭკორია (კობალიანი 46), კვერნაძე (ბანძელაძე 81), ქუთათელაძე
სათადარიგონი: ბოდოკია; ლ. ქობულაძე, ფხაკაძე, დ. ჯიქია
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ვ. ლუდუშაური, კობაიძე, მეტონიძე, გოლეთიანი, გამცემლიძე (სოსელია 59), ტოკლიკიშვილი, მუდოევი (ვარამაშვილი 46), ბარამიძე, ქჟონია
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ლეკიშვილი, გ. ჩიტაური, მ. სომხიშვილი
გაფრთხილება: ფრანგიშვილი (29), გამცემლიძე (29), მეტონიძე (31), სოსელია (89)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

წალენჯიხა
17 მარტი
15.05 საათი
ცენტრალური
300

## ზუგდიდი 0:4 ხობი

0:1 ლ. ჯაბუა (51), 0:2, 0:3 დანელია (66, 80), 0:4 ტყებუჩავა (82)
ზუგდიდი: კვარაცხელია, გედენიძე, ციკოლია, გ. ქურლულია, დიდიძე, ბურჯანაძე, გამსახურდია, ბერულავა, ანზორ ჯიქია, ი. ქურლულია, გაბლაია (სიჭინავა 65)
სათადარიგონი: ქათამაძე; გვიჩია, საჯაია, ვახანია, ანთია
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, დანელია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, ხურცილავა, ლიპარტია (ტყებუჩავა 56), თორია, ზაზა აიანადი (არსენ ჯიქია 81), ქიჭინაძე, როგავა
სათადარიგონი: თოლორდავა, ხორავა
გაფრთხილება: ი. ქურლულია (27), გ. ქურლულია (50), ი. ჯაბუა (53)
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ნაკაიძე; ა. გუნთაძე (ორივე ლანჩხუთი)

ქობულეთი
17 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 000)

## შუქურა 2:1 ცხინვალი

1:0 კაცაძე (16), 2:0 კალანდაძე (44), 2:1 თალაკვაძე (70)
შუქურა: გოგუა, ჩელებაძე, გეგეშიძე, ოქრობირიძე, კვირკველია, მესიაჩენკო, ბაბუნაშვილი, კაცაძე (ვალიჩავა 63), კალანდაძე, ჯ. ბერიძე, კაკალაძე
სათადარიგონი: გაბუნია; ჩახუნაშვილი, კოროტკოვი, ლომთათიძე, მესხიძე, დიასამიძე
ცხინვალი: ქესანაშვილი, ხოხობაშვილი (ზ. მაისურაძე 38), კობაური, ტყემალაძე, თალაკვაძე, მოსიაშვილი, ელისაშვილი, მარგიევი (ბოჭორაძე 46), გლუშჩაძე, ნასუაშვილი, ციცქიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; წიქარიძე, ჩაჩიბაია, ვაჩლავაშვილი
გაფრთხილება: ელისაშვილი (4), კობაური (41), ოქრობირიძე (43)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), მ. ურუშაძე; კ. თბილელი (ორივე თბილისი)

ბორჯომი
17 მარტი
15 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
1 000 (ტევადობა 3 000)

## თორი 0:0 ოკეანე

თორი: სულავა, სადილიანი, კობესაშვილი, წიქარიშვილი, ქოხონელიძე, სუხიაშვილი, ზარანდია (მალიკაშვილი 62), ჯანაშია, სეფერთელაძე, ტარიელაშვილი, ვ. ფირცხალავა
სათადარიგონი: ნამგალაძე; ბაქრაძე
ოკეანე: ხარძეიშვილი, ტონია, თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, რ. ცომაია, ხურციძე, ხელაძე, ლომინაშვილი, ფხაკაძე, ჯიქიძე
სათადარიგონი: ჩომახიძე; ჯულაყიძე, ჩიგოგიძე, ტყეშელაშვილი
გაფრთხილება: სუხიაშვილი (31), ხელაძე (51), ხურციძე (59)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

თბილისი
17 მარტი
15 საათი
ისანი
250 (ტევადობა 3000)

## თბილისი 2:0 ივერია

1:0 სანიკიძე (25), 2:0 კოხრეიძე (88)
თბილისი: კუპატაძე, ჩალაძე, ნიკურაძე (ფირცხალავა 52), სტურუა, სახურია, ქუხილავა, აბრამიშვილი, ნ. ჯღარკავა (სალარეიშვილი 46), ცქიფურიშვილი, სანიკიძე (მუმლაძე 37), კოხრეიძე
სათადარიგონი: კოდალაევი; გოგმაჩაძე, მანაგაძე
ივერია: ხარჩილაძე, პ. მელაძე, მ. ლომიძე, გ. ლომიძე, ზედგინიძე, მინაძე, ჯობაძე, ელბაქიძე (თ. ხაჩიძე 75), ტილკაევიშვილი, ჯაფარაშვილი, ი. გოგოლაძე
სათადარიგონი: ხვედელიძე; ვაჩლავაშვილი, ულუმბელაშვილი, ვეშაპიძე, გ. ხაჩიძე
გაფრთხილება: კუპატაძე (18), მინაძე (73), ნეკრაშვილი (80), ჯაფარაშვილი (84)
გაძევება: მ. ლომიძე (53)
მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), კ. ბერაძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

ზესტაფონი
17 მარტი
15 საათი
მეტალურგი
1 500 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 2:0 გურია

1:0 გეწაძე (26), 2:0 დ. ოდიკაძე (45)
მეტალურგი: თ. ოდიკაძე, გურეშიძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, გოგაძე, მ. გეწაძე, კაციაშვილი, აჭარაძე (მეზვრიშვილი 78), დ. ოდიკაძე (გ. გვაზავა 58), ვარდიაშვილი (ფირცხალაიშვილი 69), მაღლაკელიძე
სათადარიგონი: მერკვილიშვილი; ფანცხავა, ორმოცაძე, მახათაძე
გურია: დოლიძე, კირკიტაძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე (ვასაძე 62), ჯღარკავა (პატარაია 73), სულაკაძე, განევი, ენდელაძე, მინაშვილი (ჩხეტია 34), ფაცურია
სათადარიგონი: ლორია; სამხარაძე, კუკულაძე, შეყრილაძე
გაფრთხილება: ძნელაძე (36), გურეშიძე (52)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ვ. ელისაბედაშვილი, ა. ნონიკაშვილი; მ. მალალურაძე (სამივე თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 20 | 11 | 6 | 3 | 33:17 | 39 |
| გურია | 20 | 11 | 5 | 4 | 28:22 | 38 |
| შუქურა | 20 | 11 | 4 | 5 | 27:15 | 37 |
| ცხინვალი | 20 | 11 | 3 | 6 | 44:23 | 36 |
| მილანი | 20 | 11 | 3 | 6 | 29:18 | 36 |
| სამგურალი | 20 | 10 | 3 | 7 | 35:21 | 33 |
| თორი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:15 | 28 |
| ზუგდიდი | 20 | 7 | 3 | 10 | 29:43 | 24 |
| ხობი | 20 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 |
| ოკეანე | 20 | 4 | 4 | 12 | 20:38 | 16 |
| ივერია | 20 | 4 | 3 | 13 | 12:36 | 15 |
| თბილისი | 20 | 4 | 2 | 14 | 9:32 | 14 |

### ოცდამეერთე ტური

21 მარტი, ოთხშაბათი

მეტალურგი — თორი
გურია — თბილისი
ივერია — სამგურალი
მილანი — შუქურა
ცხინვალი — ზუგდიდი
ხობი — ოკეანე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14 - ქუთათელაძე | სამგურალი |
| 13 - მეირმიშვილი | ცხინვალი |
| 12 - კალანდაძე | შუქურა |
| 11 - ბოჭორაძე | ცხინვალი |
| გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 9 - ტოკლიკიშვილი | მილანი |


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო" ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75



იყიდება

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18.
კინოთეატრ "სულიაოსთან"

# ბერლუსკონიმ 192 მილიონი $ გადადო

## მილანს უნდა:
### რივალდო, ვერონი, რუი კოშტა, ჟარდელი, ტურამი...
## აღარ უნდა:
### შევჩენკო, ბობანი, ბირჰოფი, ლეონარდო, ჰელვეგი...


ვის შეელევიან და ვის შეიძენენ სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი?


ანდრეი შევჩენკოს „მილანის" დატოვებას უწინასწარმეტყველებენ

**ამას** წინათ ვწერდით, იტალიური „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ მასმედიას რომ განუცხადა, ფეხბურთი და „მილანი" არ მაინტერესებს და მივდივარ, ქვეყნის პრემიერმინისტრობა მწადიაო. მაგრამ, როგორც ჩანს, ბერლუსკონის 15-წლიან საფეხბურთო მოღვაწეობას ჯერ დასასრული არ უწერია. პრეზიდენტს კლუბისკენ გული მოუბრუნდა. „დეპორტივოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ტრიბუნაზე მოკალათებულიყო თავის მარჯვენა ხელ ადრიანო გალიანის გვერდით და „მილანის" ლიგიდან გავარდნით აღშფოთებულმაც პირველი ნაბიჯი გადადგა — მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი გუნდიდან დაითხოვა. სეზონს კი, როგორც უკვე ვიცით, „მილანს" ჩეზარე მალდინი და მაურო ტასოტი ჩაამთავრებინებენ.

ზაფხულიდან კი სილვიო ბერლუსკონი გრანდიოზულ რეორგანიზაციას გეგმავს, რაც უპირველესად ფეხბურთელებს შეეხებათ. დღესდღეობით „მილანში" ოფიციალურად 36(!) ფეხბურთელი ირიცხება, რომელთა უმრავლესობაც პრეზიდენტის მოთხოვნით გუნდს დატოვებს. დონ სილვიომ ახალი, „ოცნების გუნდის" შესაქმნელად 412 მილიარდი ლირა (192 მილიონი დოლარი) უკვე გადადო. ვინ მოირგებს „მილანის" მაისურას, ზაფხულიდან შევიტყობთ, მანამდე კი–

გუშინ მსოფლიოს სააგენტოებმა ერთი ცნობა ელვისებურად გაავრცელეს. მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ბერლუსკონის დაკავშირებია და უკრაინელ თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოზე ჩამოუგდია სიტყვა, თანაც დაუმატებია, ზურდაში ფერნანდო მორიენტესსა და ხოსე მარია გუტის გამოვაყოლებთო. ბერლუსკონის პასუხი ჯერჯერობით უცნობია. ეს ამბავი შევჩენკოს ყურამდეც მივიდა და კიევში, სანაკრებო შეკრებაზე ჩასულმა სააგენტო „როიტერს" უთხრა: „მე ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია. ჯობს პრეზიდენტებმა გადაწყვიტონ, მომავალში სად ვითამაშებ. ჩემი საფიქრალი „მილანია" და ძალიან მინდა, მასთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო".

„რეალის" გარდა შევჩენკოს გადაბირების სურვილი ლონდონის „არსენალმაც" გამოთქვა. ამასობაში კი, როგორც ზემოთ გითხარით, ბერლუსკონი „ოცნების გუნდის" შექმნას ლამობს. ორი ფეხბურთელი სამომავლოდ უკვე დაიწყა — ბერგამოს „ატალანტას" 23 წლის მცველი კრისტიან ძენონი 12 მილიონ დოლარად, ხოლო 18 წლის ნახევარმცველი მასიმო დონატი 10 მილიონად იყიდა. ძენონიც და დონატიც „მილანის" ღირსებას ზაფხულიდან დაიცავენ.

პრეზიდენტის განცხადებით, „მილანს" ახლა 10-12 ძლიერი ფეხბურთელი მაინც სჭირდება: „ყველა რგოლში სულ ცოტა, სამ-სამი ძლიერი ფეხბურთელი გვჭირდება. ეს მხოლოდ მეკარეებს არ ეხებათ, კრისტიან აბიატის და სებასტიანო როსის დარი მეკარეები ბევრს არ ჰყავს. აი, დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში პრობლემები გვაქვს. რაც შეეხება მწვრთნელს, ჩვენ შევთანხმდით, რომ სეზონს ჩეზარე მალდინი და მაურო ტასოტი ჩაამთავრებენ. ზაფხულიდან კი ჩემი სურვილია, „მილანს" მარჩელო ლიპი ჩაუდგეს სათავეში. იგი ჩინებული პიროვნება და მწვრთნელია. ძალიან მინდა, მან ისეთივე წარმატებებს მიაღწიოს, რაც მას „იუვენტუსში" მოღვაწეობისას ჰქონდა" — განაცხადა ბერლუსკონიმ.

ახლა კი „მილანიდან" იმ სავარაუდო წამსვლელ-მომსვლელებს გაგაცნობთ, რომელთა ვინაობაც კლუბის ვებ-გვერდში ამოვიკითხეთ. გუნდს, ალბათ, დატოვებენ: ჰელვეგი, კომანდინი, ბობანი, ლეონარდო, ბირჰოფი, ჯუნტი, ხოსე მარი, ფიორი, როკე ჟუნიორი, ხელა, დიდა, ბა, პაბლო გარსია, ბელუფა და დაინო. ამათ, შესაძლოა, სწორედ ზემოთნახსენები შევჩენკოც დაემატოს.

რაც შეეხებათ მომსვლელებს, ბერლუსკონის სურვილი ყოფილა, ქვემოთჩამოთვლილ მოთამაშეთა უმრავლესობა კლუბში იხილოს: ძენონი, დონატი (უკვე მილანელები არიან), საულატი, ტონი, ლივერანი, პირონი, ჟარდელი, რუი კოშტა, ვერონი, ტურამი, რივალდო, ვიდუკა, სალასი, ანელკა, მორიენტესი, გუტი, კრესპო, რიკელმე, გოვუ, რ[illegible]რი და კოლონინი.

ბერლუსკონი როგორც ჩანს, მართლაც ოცნებებს მისცემია და ვნახოთ, როგორ აისრულებს წადილს, თუმცა ფული ნამდვილად არ აკლია. აკი, ტიფოზებმა „პარმასთან" მატჩისას პლაკატი გამოუფინეს „სან სიროზე", ბერლუსკონი, ნუ ხარ ძუნწი, კარგი ფეხბურთელები მოგვგვარეო.

**გიორგი გაბაძე**

# იყიდება არგენტინა!



## სად მიგაქვთ ამდენი ფული?! უკვირს მარადონას

**არგენტინამ** საფეხბურთო სამყაროს მრავალი სახელოვანი ფეხბურთელი აჩუქა. ამ ქვეყანაში დაოსტატებულნი მსოფლიოს, ძირითადად კი ევროპის ბობოლა გუნდების ღირსებას იცავენ და ბურთის გორების ლაღი მანერით საკუთარ, განუმეორებელ ელფერს მატებენ საერთო საფეხბურთო პალიტრას. არგენტინელები ძვირადაც ფასობენ და კლუბებიც გვარიანად ისქელებენ ჯიბეებს ფეხბურთელთა სარფიანი ყიდვა-გაყიდვით. მაგრამ, მიუხედავად ევროპაში გადაბარგებულთა დიდი არმიისა, ფული, რომელიც არგენტინულ ფეხბურთში უნდა ტრიალებდეს, არსად ჩანს. პირიქით, კლუბები სავალალო დღეში არიან და ვალების გასტუმრებას ვერ ძლევენ.

გარდა ვარსკვლავთა ტრანსფერებისა, გუნდების სალაროს საკმაოდ ამდიდრებს გაყიდული ბილეთები, სარეკლამო საქმიანობა, სატელევიზიო უფლებები. ფული კი მაინც არ ჩანს. დღევანდელ არგენტინულ საკლუბო ფეხბურთში კრიზისია. გუნდებს დიდი ფინანსური პრობლემები აქვთ. 1980 წლისთვის „რივერ პლეიტის" ფანკლუბი ოთხმოცი ათას გულშემატკივარს აერთიანებდა. ოთხმოცი ათასი კაცი ყოველთვიური საწევროებით ამდიდრებდა კლუბს. დღეს მათი რიგები ოცდაოირმეტ ათასამდე შეთხელდა. თუ ადრე ბილეთების შეძენა ძნელი საქმე გახლდათ, ახლა საკმაოდ გაიოლდა, ადრინდელთან შედარებით სტადიონზე დამსწრეთა რაოდენობა ორმოცდაათი პროცენტით შემცირდა. შეშფოთებულია არგენტინის ფეხბურთის თავკაცობა. „რივერ პლეიტის" ფინანსური მრჩეველი რობერტო იაკობი კი გულდაწყვეტილი გვამცნობს: „ხალხი აღარ ესწრება თამაშებს. ისინი საკუთარ თავს და ჯიბეს უფრთხილდებიან". საყოველთაოდ ცნობილია, რომ არგენტინის სტადიონებზე ალიაქოთია და დავიდარაბის გარეშე იშვიათად თუ მთავრდება საფეხბურთო მატჩი. ხოლო წუწურაქობა და წუწუნი ბილეთების სიძვირის გამო, მართლაც ახალი მოვლენაა არგენტინაში.

კარგი დღეები არც „რივერ პლეიტის" ძველ და მუდმივ მტერს, „ბოკა ხუნიორსს" უდგას. კლუბს ოთხმოცდათექვსმეტი მილიონი დოლარი ვალი აწევს კისერზე. ამის შესახებ სულ ახლახან განაცხადა არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც ხალხს სიმართლე კი ამცნო, მაგრამ რატომღაც თავისი ვინაობა არ გაამხილა. მან ისიც დასძინა, რომ დღესდღეობით კლუბების ოცი პროცენტილა ახერხებს ხელფასების გაცემას.

საერთო სახალხო-საფეხბურთო დაბნეულობასა და აღელვებას დიდი არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონაც შეუწუხებია, რომელიც ყოველთვის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა უკანონო მაქინაციებს აბრალებს: „ისინი არალეგალურად იტაცებენ ფულს, რომელიც ფეხბურთელის ტრანსფერის შედეგად გუნდს უნდა მოხმარდეს". მარადონას ეს სიტყვები უმალ გასმაურდა. დიდი ფეხბურთელი საერთო უკანონობაზე ლაპარაკობს, მაგრამ მავანთა აზრით, მას მხედველობაში პაბლო აიმარის ოცდაორმილიონიანი კონტრაქტი ჰქონდა.

შემოსავლის შემცირებამ არგენტინული გრანდები — „რივერ პლეიტი" და „ბოკა ხუნიორსიც" აალაპარაკა. კლუბები ჩივიან — ფეხბურთელთა შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება, გადასახადებიც ძალიან დიდია, ჩვენი ბრალი კი არაფერია და ამ საქმეში სუფთანი ვართო. მაგრამ ფეხბურთის და გულშემატკივრის რა?

ფეხბურთის მამები ერთადერთ გამოსავალს კლუბების პრივატიზებაში ხედავენ. „აგრი კოლ დე ბიანჩეტი", არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთი მრჩეველიც ასე თვლის, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ფეხბურთის მარტო კლუბების პრივატიზება ვერ გადაარჩენს: „მთავარი პრობლემა ეს არ არის. საქმეს იმ ხალხის კვალიფიკაციის ამაღლება თუ უშველის, რომლებიც კლუბებს ხელმძღვანელობენ. კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა — ორი რამ, რაც არგენტინულ ფეხბურთს აკლია. ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას თვითონ უნდა იღებდეს, გუნდის დირექტორები თავიანთი რესურსებით უნდა ცდილობდნენ წარმატების მიღწევას, სესხი, ფულადი მაქინაციები ერთობ აზიანებს კლუბებს, საერთოდ, არგენტინულ ფეხბურთს. კანონი მეტად მკაცრი უნდა გახდეს და ყოველი მცირე უპასუხისმგებლობაც კი არ უნდა დარჩეს დაუსჯელი".

**გიორგი გამარჯვეშვილი**

## აბა, პასპორტი მაჩვენე!

# ერერა და ალავესი საპასპორტო ბომბზე სხედან


მარტინ ერერა

**ევროპულ** საფეხბურთო სამყაროში საპასპორტო ციებ-ცხელება რომ მძვინვარებს, ცნობილი ამბავია. ევროპელი სამართალდამცავები ყალბი ევროკავშირული პასპორტებით ხელდამშვენებულ უცხოტომელების გამოვლენამ საკმაოდ სერიოზულად გაიტაცა. ამჯერად, მართლმსაჯულებამ ცეცხლის ალში პირენეის ნახევარკუნძული გაახვია. კვირას ესპანეთში მობურთალ ერთბაშად ექვს სამხრეთამერიკელზე მიიტანეს ეჭვი. მათგან ყველაზე ცნობილი „ალავესის" კარის დარაჯი მარტინ ერერა გახლავთ. მეკარეს, მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ ამერიკაში დაბადებულა, იტალიური პასპორტი აქვს. ცრუ ევროკავშირელობა კიდევ ხუთ ფეხბურთელს „რაიო ვალეკანოს" გუსტავო ბარტელტს, „ხეტაფეში" მობურთალ ამარალს, „გრანადას" მოიას და „ტენერიფეს" ორ მოთამაშეს, ბარატასა და ბასავილბასოს, ედებათ.

სხვისი რა მოგახსენოთ და ვიტორიელებს, მეკარე ერერას დახმარება ნამდვილად ჰაერივით სჭირდებათ. „ალავესი" უეფას თასის ნახევარფინალში „კაიზერსლაუტერნთან" სათამაშოდ ემზადება, პრიმერადივიზიონში მეშვიდე ადგილზეა და გუნდის ისტორიაში არნახულად წარმატებული ხანა უდგას. ერერა დღეს საუკეთესო ფორმაშია, მაგრამ ყალბადებული საპასპორტო რეიდისგან მას საფეხბურთო ოსტატობა ვერ იხსნის. ამიტომაც არგენტინელი უმალ თავის სკვდო სამშობლოში გაემგზავრა, ორშაბათს იგი იტალიის ელჩუმრა, სავარაუდოდ, საკუთარი საბუთების გადასამოწმებლად და მოულოდნელობებისგან თავის დასაზღვევად. თვით „ალავესის" ხელმძღვანელობაც შეშფოთებულია, მაგრამ ფაქტის კომენტარებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

მამ ასე, თაღლითობაში ეჭვმიტანილი კიდევ ექვსი სამხრეთამერიკელი. ესპანელ სამართალდამცავებს საამყო ნამდვილად აქვთ. მათ ადრე ესპანიოლელი დიეგო ხუზარ ტოლედო და ბადაჰოსელი სანდრო მარკოს სანტოსიც უმხილათ.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** მეორედივიზიონური „ბეტისის“ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი მორიგ ტურში „ტენერიფესთან“ 0:2 დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სევილიური კლუბი ბოლო ხანს ერთობ სუსტად თამაშობს, ხუთი მატჩია, არ მოუგია. ხელმძღვანელობამ შემცვლელს მალევე მიაგნო, გუნდს ლუის დელ სოლი უხელმძღვანელებს. „კლუბის მაღალჩინოსან მოხელეებთან თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ვასკესი გაგვეთავისუფლებინა, იმედს ვიტოვებ, რომ ახალი მწვრთნელი გუნდს წარმატებას მოუტანს“ — განაცხადა „ბეტისის“ პრეზიდენტმა. შარშან პრიმერადივიზიონიდან დაქვეითებული კლუბი კი ახლა მეორე დივიზიონში მესამე ადგილზეა.

**საფრანგეთის ჩემპიონატში, „ნანტის“ წინააღმდეგ მატჩში, „სედანის“ თავდამსხმელმა სედრიკ მიონემ მუხლის რთული ტრავმა მიიღო და შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშოს. „ძალიან ვწუხვარ, სერიოზული ტრავმა აქამდე არასდროს არ მიმიღია. სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი მისრულდება და შანსი მქონდა, კარიერა რომელიმე ძლიერ გუნდში გამეგრძელებინა, ახლა კი შეიძლება ხელი შემეშალოს“ — განაცხადა მიონემ, რომელიც ნანტელ ნიკოლა ქილესთან შეჯახების დროს დაშავდა.**

**ესპანეთის** ჩემპიონმა „დეპორტივომ“ და იტალიურმა „პარმამ“ შესაძლოა, ფორვარდები: ურუგვაელი ვალტერ პანდიანი და ბრაზილიელი მარსიო ამოროზო ერთმანეთში გაცვალონ. ურუგვაელმა პანდიანიმ ჩემპიონთა ლიგაში „პარი სენ ჟერმენთან“ გატანილი სამი გოლის შემდეგ არაერთი ევროპული კლუბის, მათ შორის „პარმას“ ყურადღებაც მიიპყრო. ამიტომ არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონი 24 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბში დაიწყოს. იმასაც გაგახსენებთ, რომ ამოროზო „პარმაში“ „უდინეზედან“ ჩაირიცხა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა.

**ჰოლანდიურმა „პსვ ეინდჰოვენმა“ ქვედალიგური „ემენის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ტენ რუველაარი შეიძინა. ამ ყმაწვილს ჰოლანდიაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მისი შეძენა „აიაქსსა“ და „ტვენტესაც“ სურდათ, მაგრამ „ეინდჰოვენმა“ ყველას დაასწრო და რუველაართან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თავდამსხმელი ახალ კლუბში, ალბათ, მომავალი სეზონიდან ითამაშებს.**

**ესპანელი** მცველის ხუან ველასკოს „სელტადან“ გადაბირების სურვილი „ბარსელონამ“ გამოთქვა. „ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, „ბარსელონას“ დონის კლუბი რომ დავაინტერესე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ „სელტაში“ ძლიერად თამაშზე ვამახვილებ ყურადღებას, სეზონის ბოლოს კი, არ გამოვრიცხავ, კლუბი გამოვიცვალო“ — განაცხადა 24 წლის მცველმა, რომელსაც ესპანეთის ნაკრებშიც იწვევენ. ველასკო „სელტამ“ 1999 წელს „სევილიასგან“ 3,5 მილიონ გირვანქად შეიძინა, ახლა კი, როგორც ვარაუდობენ, სანაცვლოდ 7,5 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

**ნიგერიელ მცველ ტარიბო ვესტით დაინტერესებულმა „გლაზგო რეინჯერსის“ მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა კლუბის ხელმძღვანელობას მოსთხოვა, რომ ფეხბურთელის გადასაბირებლად მოლაპარაკებები უკვე წამოიწყონ. ვესტი ამჟამად პრემიერლიგურ „დერბი ქაუნთიში“ თამაშობს, იგი ინგლისში „მილანიდან“ გადავიდა და სულ მცირე სეზონის ბოლომდე დარჩება. შემდეგ კი შესაძლოა, კვლავ „სან სიროზე“ დაბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი ადრე მეორე მილანური კლუბის, „ინტერის“ ღირსებას იცავდა.**

**ესპანეთის** ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის“ ფორვარდი ისმაელ ურსაისი გასულ უქმეებზე „სარაგოსას“ წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და, როგორც ვარაუდობენ, რამდენიმე კვირას ვერ გავა მინდორზე. ფეხბურთელმა საზარდული დაიჭიმა. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, გუნდს ერთობ დიდი ძალა დააკლდება, რადგან ურსაისი 8 გოლით „ატლეტიკის“ საუკეთესო ბომბარდირია. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბასკებს კარგა ხანია, ტრავმის გამო ნახევარმცველი ხოსე ურუტია და მცველი რაფაელ ალკორტა ვერ ეხმარებიან.

**იტალიური სააგენტოების ცნობით, „სალერნიტანას“ მომავალი სეზონიდან შესაძლოა ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი ჩაუდგეს სათავეში. სერია B-ს კლუბის პრეზიდენტმა ალიბერტიმ თავისი სურვილი საქვეყნოდ გაამხილა და განაცხადა, რომ ზემანთან მალე დაიწყებს მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, რომ ჩეხი ამ სეზონის დასაწყისში „ნაპოლის“ წვრთნიდა, თუმცა შემდეგ ნეაპოლური კლუბი დატოვა. აქვე აღვნიშნოთ, რომ იგი ადრე სერია A-ს ამჟამინდელ ლიდერ „რომასაც“ თავკაცობდა.**

**პორტუგალიელმა** ნახევარმცველმა სიმაო საბროსამ ტრავმა მოირჩინა და შვიდკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. 20 წლის ფეხბურთელმა „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში შესაძლოა პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში ითამაშოს. „ახლა თავს კარგად ვგრძნობ, ჩვეულ ფორმას ნელ-ნელა ვიბრუნებ. იმედი მაქვს, რომ „ბარსელონას“ მომავალ შეხვედრაში უკვე მინდორზეც გამოვჩნდები“ — განაცხადა პორტუგალიელმა.

**იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურში, „ბოლონიას“ წინააღმდეგ მატჩში „ფიორენტინას“ მცველმა პაოლო ვანოლიმ ტრავმა მიიღო და ექიმების ვარაუდით, კლუბს დაახლოებით ორი თვით დააკლდება. ფეხბურთელს კუნთი დაეჭიმა. ვანოლი პირველი ტაიმში მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა, თამაში ველარ გააგრძელა და მწვრთნელი რობერტო მანჩინი იძულებული გახდა შეეცვალა.**

# ნედვედიც ჩვენია, დავიდსიც გვინდა



პაველ ნედვედი

**იტალიელმა** ჟურნალისტებმა, როგორც სჩვევიათ ხოლმე, ჭორის ახალი ტალღა ააგორეს. ამჯერად, რომის „ლაციოს“ ჩეხ ნახევარმცველ პაველ ნედვედზე ატეხეს აჟიოტაჟი. 28 წლის ფეხბურთელს გუნდში დარჩენა სურს, თუმცა რატომღაც ეჭვი ეპარება, რომ კლუბის მესვეურები მის გაყიდვას აპირებენ. „სერჯო კრანიოტი ამბობს, რომ არ უნდა ჩემი გაშვება, მაგრამ მისი არ მჯერა. ვნახოთ, რას იზამს, როდესაც ჩემს სანაცვლოდ ბლომად ფულს შესთავაზებენ. თავად წასვლა არც მიფიქრია. ცუდია, რომ ჩემზე არაფერია დამოკიდებული და უნდა დაველოდო, რას გადაწყვეტს ხელმძღვანელობა“.

„ლაციოს“ ხელმძღვანელობა კი ირწმუნება, ნედვედის გაყიდვაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. მტკიცება მტკიცებად, ფიცი ფიცად, მაგრამ გუნდის გენერალური მენეჯერის, მასიმო კრანიოტის ბოლო სიტყვა თვით ნედვედსა და ამ საკითხით დაინტერესებულთ საკმაო ეჭვის საბაბს აძლევს. მასიმო და მისი რაზმი ამტკიცებს, რომ ჩეხი არ იყიდება, მაგრამ: „ჩემამდე მოვიდა ხმა, რომ ნედვედით „იუვენტუსი“ დაინტერესდა. რა გაეწყობა, თუ ჩემი კოლეგა, ლუჩიანო მოჯი დაჟინებით ცდილობს ჩვენთან მოლაპარაკებას, მზად ვართ, განვიხილოთ ედგარ დავიდსის „იუვენტუსიდან“ „ლაციოში“ გადმობარგების საკითხი“.

როგორ უნდა გავიგოთ რომაელთა გენერალური მენეჯერის ნათქვამი? თითქმის არაორაზროვნადაა განცხადებული: „ჩვენ დავიდსი გვინდა, თქვენ - ნედვედი, ინტერესთა სფერო გარკვეულია. დანარჩენი კი უკვე ტექნიკის საქმეა“.

ვნახოთ, როგორ დასრულდება ორი გრანდის სატარნსფერო პაექრობა, შესაძლოა, როქი ნედვედი-დავიდსი შედგეს — ჩეხმა შავ-თეთრი მაისურა მოირგოს, ხოლო ჰოლანდიელმა მომავალ სეზონში „ლაციოს“ ღირსება დაიცვას.

**გიორგი მამარდაშვილი**

# რა ქნა, რომ დი კანიო მარ ?!

**„ვესტ ჰემი“** პრემიერლიგაში მეთოთხმეტეა და მხოლოდ იმიტომ, რომ იქ პაოლო დი კანიო თამაშობს.

ამ ლონდონური გუნდის მცოდნე მკითხველი შეგვედავება, „ვესტ ჰემს“ დი კანიო რომ არ ჰყავდეს, უფრო ქვემოთ იქნებოდაო.

თავში გამოთქმული მოსაზრება, უფრო სწორად კი მტკიცება, თავად დი კანიოს ეკუთვნის. შაბათს „იფსვიჩთან“ 0:1 წაგებულ მატჩში სტუმართა მცველმა ფაბიან უილნისმა საკუთარ საჯარიმოში დი კანიო წააქცია და პენალტიც უნდა დანიშნულიყო, მაგრამ...

ნამატჩევს აი, რა თქვა პაოლო დი კანიომ: „ამ მსაჯებმა ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნონ, რომ თავიანთი გადაწყვეტილებებით მე კი არ მსჯიან, ჩვენი გუნდის ასი ათასზე მეტ ქომაგს. არადა, რა დააშავა ამ ხალხმა. არ ვიცი, რა ვილონო, პლასტიკურ ოპერაციას ხომ არ გავიკეთებ? არა, ოდესმე ეგებ მართლაც დამჭირდეს, ამჟამად კი ჩემი გარეგნობა სავსებით მაკმაყოფილებს. თუმცა თემას გადავუხვიე. მსაჯები შანსს არ უშვებენ ხელიდან და გამუდმებით გვჩაგრავენ, შინაც და გასვლაზეც, როცა კარგად ვთამაშობთ და როცა არ გამოგვდის. „იფსვიჩთან“ საზიზღრად ვითამაშეთ, ვაღიარებ, მაგრამ ის პენალტი რომ დაენიშნა, ქულას ავიღებდით და ესეც საქმეა. იცით, რა ვერ გამიგია, თუ ტყუილად წავიქეცი, ყვითელი ბარათი რატომ არ მიჩვენა? თუმცა ვიცი რატომაც, რომ გავეფრთხილებინე, სასამართლოში ვუჩივლებდი და მოვუგებდი, ასე კი თავი დაიზღვია“.

გავიხსენოთ, რომ პაოლო დი კანიო „ევერტონთან“ მატჩში ჯენტლმენური საქციელისთვის ფიფასგან „ფეირ პლეის“ პრიზის მიღების მთავარ კანდიდატად ითვლება. მსაჯები კი მაინც ეჭვის თვალით უყურებენ, პირწავარდნილი ხულიგანიაო. მართლა პლასტიკური ოპერაცია ხომ არ გაეკეთებინა?



პაოლო დი კანიო: რა გინდათ, რას მერჩით, რა დაგიშავეთ?!

**გიორგი დარჯანია**

# სახლში დაჯექი, ქალო!

## რაიოს პრეზიდენტს ქმარი უმუშევარს ტოვებს



ტერეზა რივერო

**ესპანურ** ფეხბურთში ერთადერთი პრეზიდენტი ქალია და მალე, შესაძლოა, ისიც წავიდეს.

ტერეზა რივერო მადრიდული „რაიო ვალეკანოს“ პრეზიდენტი იმის წყალობითაა, რომ კლუბი მისი ქმრის, ხოსე მარია რუის მატეოსის საკუთრებაა. ჰოდა, ქმარმა კლუბის გაყიდვა თუ დააპირა, ახალი მეპატრონე, ცხადია, ახალ პრეზიდენტს დანიშნავს.

„რაიო ვალეკანო“ რომ იყიდება, ტერეზა რივერომ ესპანურ ახალი ამბების სააგენტო „ევროპა პრესს“ უთხრა.

უცნაური ამბავია, წინა სეზონში მეორე დივიზიონიდან ალზევებული „რაიო“ ერთხანს პრიმერადივიზიონსაც ლიდერობდა, საბოლოოდ, უეფას თასს უწია და მეოთხედფინალშიც გავიდა. მაგრამ რად გინდა — ქომაგთა გულები ვერ მოიგო, რაც სანახევროდ ცარიელი ტრიბუნებით გამოიხატება. მეპატრონის რისხვაც ამან გამოიწვია, 15-ათასიანი სტადიონი როგორ ვერ უნდა გაივსოსო.

განრისხდა და კლუბს ფასიც დაადო — ოცი მილიარდი პესეტა, რაც ჩვენთვის უფრო ნაცნობ ვალუტაში 108 მილიონ დოლარს უტოლდება.

„ძალიან გვეუხერხულება, კლუბის გაყიდვას რომ ვაპირებთ — თქვა ქალბატონმა ტერეზამ — მაგრამ, მეორე მხრივ, კარგ ფასს თუ გადაიხდიან, უარის თქმა სისულელე იქნება“.

პრეზიდენტისავე თქმით, რამდენიმე წინადადება მათ უკვე მიიღეს, მაგრამ ფასზე ვერ მორიგდნენ.

ასევე გაურკვეველია მომავალ სეზონში „რაიო ვალეკანოს“ მწვრთნელის ვინაობაც. ხუანდე რამოსი მადრიდში ბოლო სამი სეზონია, მუშაობს და მისით კმაყოფილებიც არიან, მაგრამ ტერეზა რივერო აღიარებს, ვინმემ მისი გადაბირება თუ მოინდომა, ვეჭვობ, შენარჩუნება შევძლოთო.

**გიორგი დარჯანია**

# კოპა საკუთარ წარსულს ჰყიდის



რაიმონ კოპა

**ინგლისურ** ვულვერჰემპტონში 11 აპრილს აუქციონი მოეწყობა, რომელზეც დიდი ფრანგი ფეხბურთელი რაიმონ კოპა თავის ჯილდოებს გაყიდის.

1958 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული კოპას კოლექციას, ექსპერტები 75-დან 100 ათას გირვანქამდე აფასებენ და მასში ის სამი ოქროს მედალიც შედის, რომელიც ფრანგს ჩემპიონთა თასის მოგებისთვის მიუღია.

საინტერესო ამბავია, კოპამ სახელი ფრანგულ „სტად დე რეიმსში“ გაითქვა, რომელიც ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალში მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა. იმ ფინალის მერე კოპა „რეალში“ გადაბარგდა, როგორც აღვნიშნეთ, სამჯერ მოიგო ევროპის უმაღლესი საკლუბო ჯილდო და ისევ ძველ კლუბს დაუბრუნდა.

## უნგრეთი

მე-8 ტური: დებრეცენი — დუნაფერი 2:0; ვაშაში — შოპრონი 1:1; ტატაბანია — ზალაეგერსეგი 1:3; ფერენცვაროში — ჰონვედი 1:2; ვიდეოტონი — უიპეშტი 4:0; დიორ ეტო — მტკ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 8 | 5 | 2 | 1 | 14:4 | 21 |
| მტკ | 8 | 4 | 3 | 1 | 12:4 | 21 |
| ვიდეოტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:6 | 18 |
| დიორ ეტო | 8 | 5 | 1 | 2 | 12:9 | 18 |
| უიპეშტი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:16 | 17 |
| ვაშაში | 8 | 3 | 2 | 3 | 13:10 | 15 |
| დუნაფერი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:15 | 15 |
| ჰონვედი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:13 | 14 |
| ზალაეგერსეგი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 12 |
| ტატაბანია | 8 | 1 | 1 | 6 | 7:20 | 10 |
| დებრეცენი | 8 | 2 | 0 | 6 | 11:20 | 9 |
| შოპრონი | 8 | 0 | 4 | 4 | 9:13 | 7 |

## რუმინეთი

მე-17 ტური: რაპიდი — დინამო 2:2; სტიაუა — პეტროლული 1:0; გაც მეტანი — არჯეში 2:2; უნივერსიტატია — გლორია 2:4; ასტრა — ბრაშოვი 2:0; ფორესტა — ჩაჰლაული 3:0; ოცელული — ბაკეუ 2:1; ნაციონალი — როკარი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 17 | 11 | 4 | 2 | 31:17 | 37 |
| არჯეში | 17 | 8 | 5 | 4 | 24:20 | 29 |
| დინამო | 17 | 8 | 4 | 5 | 34:29 | 28 |
| პეტროლული | 17 | 8 | 3 | 6 | 22:17 | 27 |
| უნივერსიტატია | 17 | 8 | 3 | 6 | 20:21 | 27 |
| ფორესტა | 17 | 7 | 5 | 5 | 32:28 | 26 |
| რაპიდი | 17 | 6 | 7 | 4 | 19:15 | 25 |
| ბრაშოვი | 17 | 7 | 3 | 7 | 13:13 | 24 |
| გლორია | 17 | 7 | 3 | 7 | 25:26 | 24 |
| როკარი | 17 | 7 | 2 | 8 | 27:30 | 23 |
| ასტრა | 17 | 6 | 3 | 8 | 18:18 | 21 |
| ოცელული | 17 | 5 | 5 | 7 | 20:22 | 20 |
| ნაციონალი | 17 | 6 | 2 | 9 | 22:26 | 20 |
| ჩაჰლაული | 17 | 4 | 6 | 7 | 19:29 | 18 |
| ბაკეუ | 17 | 4 | 4 | 9 | 20:27 | 16 |
| გაც მეტანი | 17 | 1 | 7 | 9 | 10:18 | 10 |

## იუგოსლავია

22-ე ტური: ნაპრედაკი — პარტიზანი 0:0; ცრვენა ზვეზდა — ვოივოდინა 3:0; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ჰაიდუკი 1:1; ბუდუჩნოსტი — რადნიჩკი (ნიში) 2:0; მილიციონარი — ოფკ 3:3; ჟელეზნიკი — ზემუნი 2:0; სარტიდი — ობილიჩი 1:0; ზეტა — სუტიესკა 3:2; ჩუკარიჩკი — რადი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 22 | 18 | 4 | 0 | 58:11 | 58 |
| პარტიზანი | 22 | 17 | 1 | 4 | 60:18 | 52 |
| ობილიჩი | 22 | 14 | 3 | 5 | 35:21 | 45 |
| ოფკ | 22 | 11 | 5 | 6 | 34:23 | 38 |
| სარტიდი | 22 | 11 | 2 | 9 | 34:31 | 35 |
| ჟელეზნიკი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:33 | 30 |
| ჰაიდუკი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:24 | 29 |
| სუტიესკა | 22 | 8 | 4 | 10 | 26:37 | 28 |
| ვოივოდინა | 22 | 7 | 6 | 9 | 26:23 | 27 |
| ზეტა | 22 | 6 | 9 | 7 | 29:33 | 27 |
| ბუდუჩნოსტი | 22 | 7 | 4 | 11 | 18:25 | 25 |
| ზემუნი | 22 | 6 | 7 | 9 | 21:31 | 25 |
| მილიციონარი | 22 | 7 | 3 | 12 | 22:34 | 24 |
| რადი | 22 | 7 | 3 | 12 | 27:40 | 24 |
| ნაპრედაკი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:35 | 24 |
| ჩუკარიჩკი | 22 | 7 | 2 | 13 | 24:32 | 23 |
| რ. კრაგუევაჩი | 22 | 6 | 5 | 11 | 19:37 | 23 |
| რ. ნიში | 22 | 5 | 3 | 14 | 16:40 | 18 |

## ისრაელი

30-ე ტური: ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 2:0; ცაფრირიმი — მაკაბი (ნათანია) 1:5; აშდოდი — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:2; მაკაბი (ჰაიფა) — ბნეი იეჰუდა 5:0; ბეითარი — მაკაბი (თელ ავივი) 0:1; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — ირონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 30 | 20 | 9 | 1 | 56:19 | 69 |
| ჰ. თელ ავივი | 30 | 17 | 9 | 4 | 44:21 | 60 |
| ბეითარი | 30 | 16 | 8 | 6 | 37:21 | 56 |
| ჰ. ჰაიფა | 30 | 15 | 9 | 6 | 46:29 | 54 |
| მ. თელ ავივი | 30 | 13 | 9 | 8 | 50:28 | 48 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 30 | 12 | 8 | 10 | 49:42 | 44 |
| მ. ნეთანია | 30 | 10 | 8 | 12 | 45:46 | 38 |
| მ. ფეთახ თიკვა | 30 | 10 | 6 | 14 | 32:36 | 36 |
| ირონი | 30 | 8 | 6 | 16 | 28:49 | 30 |
| ბნეი იეჰუდა | 30 | 6 | 8 | 16 | 29:50 | 26 |
| აშდოდი | 30 | 5 | 7 | 18 | 28:49 | 22 |
| ცაფრირიმი | 30 | 3 | 3 | 24 | 19:73 | 12 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა

XXVI ტური

**ვალდჰოფი 3:3 არმინია**

1:0 კატიჩი (22), 1:1 ბორგესი (32), 1:2 ვაისენბერგერი (37), 2:2 ლიხტი (66), 3:2 ტებერი (78), 3:3 ვიშნიარეკი (83)

## უკრაინა

მე-15 ტური: დინამო — კრივბასი 4:2; კარპატი — შახტარი 0:2; ტავრია — ცსკა 0:1; ვორსკლა — სტალი 2:2; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალისტი 2:0; დნიპრო — მეტალურგი (მარიუპოლი) 2:1; მეტალურგი (დონეცკი) — ნივა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 15 | 11 | 3 | 1 | 41:13 | 36 |
| დინამო | 15 | 11 | 3 | 1 | 30:11 | 36 |
| დნიპრო | 15 | 10 | 3 | 2 | 19:10 | 33 |
| მ. დონეცკი | 15 | 8 | 5 | 2 | 20:12 | 29 |
| ცსკა | 15 | 7 | 6 | 2 | 20:10 | 27 |
| კარპატი | 15 | 7 | 1 | 7 | 25:22 | 22 |
| ტავრია | 15 | 4 | 7 | 4 | 14:15 | 19 |
| მ. ზაპოროჟიე | 15 | 5 | 4 | 6 | 19:22 | 19 |
| მ. მარიუპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 13:19 | 16 |
| მეტალისტი | 15 | 3 | 5 | 7 | 12:23 | 14 |
| კრივბასი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:24 | 13 |
| ვორსკლა | 15 | 2 | 3 | 10 | 8:21 | 9 |
| ნივა | 15 | 2 | 3 | 10 | 16:32 | 9 |
| სტალი | 15 | 1 | 3 | 11 | 10:27 | 6 |

## იტალია

სერია B. XXVII ტური

**სიენა 1:0 კოზენცა**

1:0 სკაჩილუკა (72)

## პორტუგალია

XXV ტური

**პორტუ 2:2 სპორტინგი**

1:0 დეკო სოუზა (66), 1:1 ჟოაუ პინტუ (77), 1:2 აკოსტა (78), 2:2 მარიჩი (89)

## არგენტინა

მე-7 ტური: რივერ პლეიტი — ლოს ანდესი 2:0; რასინგი — უნიონი 0:0; ველეს სარსფილდი — ტალერესი 0:0; ურაკანი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:0; კოლონი — ინდეპენდიენტე 1:0; ლანუსი — სან ლორენსო 4:5; ალმაგრო — ბოკა ხუნიორსი 1:0; ესტუდიანტესი — როსარიო სენტრალი 3:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — ხიმნასია 0:0; ბელგრანო — არგენტინოს ხუნიორსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 16 |
| სან ლორენსო | 7 | 4 | 2 | 1 | 13:10 | 14 |
| კოლონი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:6 | 14 |
| უნიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| არგ. ხუნიორსი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ესტუდიანტესი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:12 | 11 |
| ტალერესი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| რასინგი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ველესი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| როსარიო | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | 9 |
| ოლდ ბოიზი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| ხიმნასია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| ალმაგრო | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ურაკანი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | 8 |
| ჩაკარიტა | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| ლანუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 13:13 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| ბოკა ხუნიორსი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| ლოს ანდესი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| ბელგრანო | 7 | 1 | 3 | 3 | 3:7 | 6 |

## ბრაზილია

### კარიოკას შტატი

მე-2 ტური: ფლამენგო — ვოლტა რედონდა 1:0; ამერიკანო — კაბოფრიენსე 2:0; ფლუმინენსე — მადურეირა 5:1; ოლარია — ვასკუ და გამა 0:1; ბანგუ — ამერიკა (რიო დე ჟანეირო) 1:1; ბოტაფოგო — ფრიბურჟენსე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკანო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვასკუ და გამა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ფლამენგო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ფლუმინენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| ოლარია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბოტაფოგო | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ამერიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ფრიბურჟენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბანგუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ვოლტა რედონდა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კაბოფრიენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| მადურეირა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

### პაულისტას შტატი

I ეტაპი: კორინთიანსი — სანტოსი 6:0; პორტუგეზა (პორტუ ალეგრი) — მატონენსე 2:0; ბოტაფოგო (რიბეირაო პრეტო) — ინტერნასიონალი 1:2; გუარანი — რიო ბრანკო 0:4; ბარბარენსე — პალმეირასი 1:5; უნიაო სან ჟოაო — სან კაეტანო 5:3; პორტუგეზა (სანტისტა) — სან პაულუ 4:4 (პენ. 2:3); პონტე პრეტა — მოჟი მირიმი 2:1

# ფიგუ კატალონიურად ალაპარაკდა



**თხრობა** შორიდან დავიწყოთ. მსაჯმა „რეალის" კარში რივალდოს გატანილი გოლი რომ არ ჩათვალა, „ბარსელონას" განრისხებულმა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ქვეყანას მოსდო, ფეხბურთის ფედერაცია მსაჯების ხელით „რეალს" ჩემპიონობისკენ მიათრევსო. პრეზიდენტს ფეხბურთელებმაც აუბეს მხარი და მავანთა უნამუსობაზე ალაპარაკდნენ.

მადრიდელები ბრალდებას უპასუხოდ, აბა, როგორ დატოვებდნენ. მათმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კატალონიელ ქომაგებს შეუთვალა, ეგ თქვენი პრეზიდენტი ისე ურცხვად ცდილობს, „ბარსელონას" ცუდი თამაში სხვებს გადააბრალოს, ბავშვები ჰგონიხართო. „რეალის" მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ კი ძველი ამბავი გამოქექა, როგორ იყო, მსაჯის უხეში შეცდომით „ალავესი" რომ დაამარცხეთ, რატომ მაშინ არ აგინეთ მსაჯებსო. მეთექვსმეტე ტურში „ალავესს" ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს და „ბარსელონამ" 3:2 მოიგო.

ეს ამბები კი, აი, რატომ გავიხსენეთ — ხუან გასპარის „სენი" ახლა ლუიშ ფიგუს შეჰყრია და ამტკიცებს, „რეალს" ძირავენო.

თურმე ფიგუს ეჭვი ადრევე გასჩენია და ბოლო ტურში „მალიორკასთან" მატჩის დროს საბოლოოდ დარწმუნებულა („მალიორკამ" 1:0 მოიგო).

„რეალი" საკმაოდ თავდაჯერებულად ლიდერობს პრიმერადივიზიონს და მეორეადგილოსან „დეპორტივოს" ხუთი ქულით უსწრებს. ფიგუ კი ამბობს, მსაჯები ჩვენს წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებენ და დარჩენილ ტურებში უფრო და უფრო მკაცრად მოგვექცევიან, ზუსტად ვიცი, რომ ლოპეს ნიეტოს ფედერაციის ჩინოვნიკები მთელი კვირა ამუშავებდნენო.

რამდენიმე დღე და როგორ ამუშავებდნენ ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტოს, ფიგუ არ ამბობს, თუმცა კონკრეტულად როგორ იმოქმედა მსაჯმა თამაშზე, არ გვიმალავს.

„მსაჯი შეგნებულად აჩერებდა თამაშს საჭიროზე ხშირად. ამით ტემპს აგდებდა. მაგალითად, მეორე ტაიმში სუფთა სათამაშო დრო თხუთმეტი წუთი გვქონდა".

„რეალმა" მალიორკაში სასურველი ტემპი რომ ვერ იპოვა, მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემაც აღნიშნა, მაგრამ ფიგუსგან განსხვავებით, მწვრთნელს შეთქმულებაზე არაფერი უთქვამს, წაგების მიზეზი ძალიან მარტივია, ჩვენ ცუდად ვითამაშეთ და მეტოქემ კარგადო.

ახლა ბარსელონელთა ჯერია, მათ შეუძლიათ, ფიგუს დასცინონ.

**გიორგი დარჯანია**

# მეზობლის მამალმა...
## ტოტენჰემმა ჰოდლის კართან დაიყივლა

**უმწვრთნელოდ** დარჩენილი ლონდონელი მამლები ქვეყანას მოედვნენ ახალი თავკაცის მოსაძებნად, მანამდე კი ტოტენჰემელ ფეხბურთელებს კლუბის დირექტორი დევიდ პლიტი წვრთნის და არცთუ ურიგოდ — შაბათს „ჰოთსფურმა" ქოვენთრელი მოშხვდურები 3:0-ით გაისტუმრა.



გლენ ჰოდლს ლონდონში ელიან

ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, ერთ დროს თბილისში ნამყოფი მამლებიც („ტოტენჰემის" მეტსახელია), უპირველესად, იქვე, სამეზობლოში ეძებენ ახალ წინამძღოლს და პირველი, ვისი სახელიც პრესამ ამოატივტივა, ლონდონისვე „ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი იყო. პირველი უარიც ამ იტალიელის აგენტისგან, ათოლ სტილისგან მოვიდა: „ჯანლუკას მთელი ევროპიდან აქვს მოწვევები, მაგრამ არ ჩქარობს. ის ახალ გუნდს მხოლოდ სეზონის დამთავრების შემდეგ ჩაიბარებს, რათა მოსამზადებლად საკმაო დრო ჰქონდეს".

დიდი მადლობითა და თავაზიანი უარით გაისტუმრა „ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ამ კლუბის ყოფილმა თავდამსხმელმა და აწ კალიფორნიაში დამკვიდრებულმა იურგენ კლინსმანმა. იყო დრო, გერმანელი ვარსკვლავი ამჟამად, მანჩესტერელ ტედი შერინგემთან ერთად ჩრდილოლონდონელთა მეტოქეებს შიშის ზარს სცემდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, იურგენს მწვრთნელობა არასდროს სდომებია და თან ამერიკიდან დაბრუნებას უახლოეს ხანში არ აპირებს. მოკლედ, ეს გარიგებაც ჩაიშალა.

ამასობაში ხმა გავრცელდა, „ტოტენჰემი" მარჩელო ლიპისაც შეეხმიანაო, თუმცა თავად იტალიელი ამას უარყოფს: „ინგლისიდან არავინ დამკავშირებია, თუმცა ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ „ტოტენჰემში" არ წავალ, არ იფიქროთ, ამ კლუბის საწინააღმდეგო რამ მქონდეს. უბრალოდ, იტალიაში დარჩენა მსურს და კონკრეტულ წინადადებებს სწორედ აქაური გუნდებისგან ველი".

მაშ ასე: უარი, უარი და კიდევ უარი. დარჩა ერთი, თუმც კი უმთავრესი ფავორიტი — ტოტენჰემელი ფანობის ყოფილი კერპი გლენ ჰოდლი, რომელიც ახლა „საუთჰემპტონს" წვრთნის და წარმატებითაც. გულშემატკივრებთან ერთად „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის კანდიდატურას სასურველად მიიჩნევს კიდევ ერთი ვეტერანი ტოტენჰემელი, კარგა ხანს იაპონიაში მწვრთნელად ნამუშევარი სტივ პერიმენი. კაცი, რომელიც 19 წელი (მათგან ათი კაპიტნად) თამაშობდა „ჰოთსფურში", ახლახან სამშობლოში დაბრუნდა და ამბობს, რომ თუ ჰოდლი დათანხმდება, ეს კლუბისთვის დიდებული იქნება — ჩემი მხრივ, გლენს თუ დავჭირდები, თანაშემწედ დავუდგებიო.

ჰოდლთან მოლაპარაკება გრძელდება. ეგ კი არა, თუ ყველაფერი ლონდონელთათვის კარგად დამთავრდა, შესაძლოა, ჰოდლმა სამხრეთიდან წამოსვლისას ხელს 28 წლის მაროკოელი ჰასან კაჩლულიც გამოაყოლოს. ამას მაისში „საუთჰემპტონთან" კონტრაქტი უთავდება, „ტოტენჰემს" კი გამოცდილი ნახევარმცველიც არანაკლებ სჭირდება.

**გიგა კოგახიძე**

# ვიალი უდინეს უნდა

**ლუიჯი** დე კანიო ორშაბათიდან „უდინეზეს" მწვრთნელი აღარ არის. 23-ე ტურში უდინელებმა „პარმასთან" 1:3 წააგეს, რაც ზედიზედ მეოთხე მარცხი აღმოჩნდა და, ბუნებრივია, ასეთმა შედეგებმა მწვრთნელის სკამი ვაკანტურად აქცია. ახლა, გუნდს დროებით, ასისტენტი ალესანდრო ძამპა წარუძღვება, მაგრამ კლუბის გენერალურ მენეჯერს, პიერპაოლო მარინოს მთავარი საკითხი გადასაჭრელი აქვს. ამბობენ, რომ მარინო თანამდებობას „სამპდორიასა" და „ვენეციაში" ნამუშევარ ლუჩანო სპალეტის შესთავაზებს, თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც „უდინეზეს" მწვრთნელი უახლოესი წარსულის ცნობილი ფეხბურთელი და „ჩელსის" თავკაცყოფილი ჯანლუკა ვიალი გახდება.

არადა, „უდინეზემ" სეზონი საუცხოოდ დაიწყო და ერთი ტურით სხვა გუნდებს სათავეშიც კი მოექცა, მაგრამ დღეს 18 სტრიქონიან ცხრილში მეთორმეტეზეა, ხოლო ქულებს თუ დავთვლით, გასავარდნებს მხოლოდ ექვსით უსწრებს, რაც, მოგეხსენებათ, მხოლოდ ორი მოგება-წაგების ამბავია.



ლუიჯი დე კანიო

# ირაკლი მეძმარიაშვილი: მე დელფინების ქომაგი ვერ ვიქნები, მე სპორტის ქომაგი ვარ



ირაკლი მეძმარიაშვილი

**გუშინ** საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა, ოღონდ ამჯერად ფირმა „ვერიტასთან" ერთად, რომელიც დეპარტამენტის თავმჯდომარის დახმარებით და ხელშეწყობით საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზატორია.

პრესკონფერენცია სწორედ 26 მარტის ღონისძიებაზე საუბრით დაიწყო. მერე „ვერიტას" ხელმძღვანელებმა დარბაზი დატოვეს და ირაკლი მეძმარიაშვილმაც ქართული სპორტის დღევანდელობაზე ილაპარაკა.

ჩვენც მივყვეთ თანამიმდევრობით. ჯერ 26 მარტის საღამოზე:

...ხმის დამთვლელმა კომისიამ უკვე უამრავი შევსებული ანკეტა მიიღო. ხალხი თავის რჩეულთ ასახელებს. ლაურეატთა ვინაობა ფილარმონიაში გაცხადდება. იქამდე არავის არაფერი ეცოდინება. მართლაც შთამბეჭდავი ღონისძიება გველის. მადლობა „მაგთი GSM"-ს, რომელიც ამ საღამოს სპონსორია. ცერემონიალის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს აქვს და ახლა სხვადასხვა ტელეკომპანიებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ვიდეოჩანაწერის ჩვენების თაობაზე — თქვა ირაკლი მეძმარიაშვილმა, მერე კი განაგრძო:

...მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს სამის ნაცვლად ორი მოადგილე ეყოლება. მურთაზ მნათობიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლებულია.

...ტრადიცია აღდგა, გადაწყდა — 20 აპრილიდან 20 მაისამდე უნივერსიადა ჩატარდება და მასში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. 20 მაისიდანვე კი მოსწავლეთა სპარტაკიადა დაიწყება, რომელიც, იმედი მაქვს, რეგიონების ხელმძღვანელთა ხელშეწყობითა და დახმარებით მაღალ დონეზე ჩაივლის. ისიც გადაწყდა, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი კრივში ბათუმში გაიმართება. უნივერსიადასა და სპარტაკიადაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია გარდამავალი თასები.

...სამომავლოდ უპირატესობას, რა თქმა უნდა, რაგბის მივანიჭებთ და წლევანდელზე მეტად დავაფინანსებთ. ასევე წყალბურთს, რადგანაც გვსურს, ოლიმპიადაზე საქართველო ერთ სახეობაში მაინც იყოს გუნდით წარმოდგენილი. წყალბურთელებს საამისო პოტენცია აქვთ და თუ ხელს შევუწყობთ, იმედი მაქვს, არ შეგვარცხვენენ.

მორაგბეები კი მართლაც გვასახელებენ და მათ რა თანხაც ამ წლის ბოლომდე უნდა მიეღოთ, ახლა მიეცემათ, რუმინეთში თამაშისთვის რომ კარგად მოემზადონ. პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსებას კი წლეულს არც ერთი სპორტული ფედერაცია არ უნდა ელოდოს.

...2002 წლისთვის სპორტის დეპარტამენტი ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარს მოითხოვს, საიდანაც მილიონი კონკრეტულად გრიგოლეთის ბაზის აღდგენა-გარემონტებას მოხმარდება. გრიგოლეთში ყველანაირი ბუნებრივი პირობაა იმისათვის, რომ ჩინებული სპორტული კომპლექსი გაკეთდეს. მაგალითად ისეთი, როგორიც ლესელიძეში იყო — ხელბურთის მოედნით, კორტებით, აუზით...

...ახლა დეპარტამენტს თავის ქონება ფაქტობრივად აღარ აქვს. ლესელიძის, ეშერისა და გაგრის ბაზებზე აღარაფერს ვამბობ. თბილისის ზღვაზე ლტოლვილები ცხოვრობენ, გაპარტახებულია ველოტრეკი და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ჩვენს ცნობილ ვაკის საცურაო აუზში მალე დელფინარიუმი იქნება. აუზში უკვე ჩაყარეს ათეულ ტონობით მარილი, რათა დელფინები ბუნებრივ პირობებში იყვნენ. შეიძლება ასე? ასეთი ტრადიციების არის ეს აუზი და ახლა იქ დელფინარიუმი უნდა იყოს? მე დელფინების ქომაგი ვერ ვიქნები, მე სპორტის ქომაგი ვარ.

...კარგია, თუ სპორტულ ფედერაციათა პრეზიდენტები ძლიერი, მარიფათიანი პროვნებები იქნებიან, სპონსორებს მოიზიდავენ და თავიანთ სახეობებსაც არაფერს გაუჭირვებენ. აი, მაგალითად, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი რამდენიმე თვეა ამ თანამდებობაზე აირჩიეს და უკვე მოჭიდავეთა საკეთილდღეოდ 130 ათასი ლარი აქვს დახარჯული.

...ცოტა ხანში სპორტის ყველა სახეობის მწვრთნელთა სერტიფიცირებას დავიწყებთ. კვალიფიცირებული მწვრთნელების გარეშე რაიმე წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელია. სპორტის რომელიმე სახეობაში 1000 ჯგუფი რომ ვარჯიშობს, ამას სჯობს, 10 იყოს, ოღონდ მცოდნე მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

...მთავარი კი მაინც სპონსორებია. ძლიერ ფირმა-კომპანიათა საყურადღებოდ ვიტყვი, რომ ქართველ სპორტსმენთა სპონსორობა მათთვის ახლა უფრო იაფი და მომგებიანი იქნება, ვიდრე ორიოდე წლის შემდეგ. ამ მხრივ მუშაობა უკვე მიმდინარეობს. აგერ, „მაგთი GSM" ამისთანა ღონისძიების სპონსორია, „ჯეოსელმაც" რამდენიმე დღის წინ ყველა სპორტის სახეობის ჩემპიონატების კალენდარი მოითხოვა და ახლა თავადვე აირჩევს, რომელთან ითანამშრომლოს.

**ქობა ინასარიძე**

ჭადრაკი

მონაკოს ტურნირი

# მონაკოშიც მარტია



ვესელინ ტოპალოვი

**ვიშვანათან** ანანდი, ვლადიმირ კრამნიკი, ანატოლი კარპოვი, ალექსეი შიროვი, ვასილი ივანჩუკი, პეტერ ლეკო, ვესელინ ტოპალოვი, ბორის გელფანდი, ჯეროენ პიკეტი, ლუკ ვან ველი, ზოლტან ალმაში და ლიუბომირ ლიუბოევიჩი მონტე-კარლოში 137 250 ამერიკული დოლარს ინაწილებენ, რაც ამბერის სწრაფი და დაფაზე დაუხედავი ტურნირის საპრიზო ფონდი გახლავთ. უნდა ითქვას, რომ სამი ტურის შემდეგ სამორინე-ქალაქში ყველაფერი საკმაოდ ყირამალა დგას. ფავორიტები: კრამნიკი, ანანდი და შიროვი მარტივით არეულები ჩანან და ხან იოლად იგებენ, ხანაც უმოწყალოდ აგებენ, ხოლო იმავე მარტმა სისხლი მაჭარივით აუდუღა პეტერ ლეკოს. „კომპიუტერად" მონათლულმა უნგრელმა ყაიმოვანი ზამთრის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიღვიძა და მონაკოში პირველი ორი ტური დიდებულად ჩაამთავრა. თავიდან ლეკომ ივანჩუკი მშრალად დაამხო 2:0, რაც გასაკვირია ვიიკ აან ზეეში უკრაინელის მძლავრი თამაშის ფონზე. მერე ივანჩუკივით უნგრელთან კარპოვიც გაწბილდა. ვეტერანმა ექსჩემპიონმა შვილისტოლა მეტოქეს ჩქარი ჭადრაკის პარტია დაუთმო და დაფაზე დაუხედავადაც ნახევარ ქულას გაჭირვებით გამორჩა, რადგან ლეკო ენდშპილში მეტოქის თეთრ მხედარს სამი პაიკით ებრძოდა და საცა სამართალია, ერთი მაინც უნდა გასულიყო დედოფლად. ორ ტურში დაგროვილი 3,5 ქულით სეგედელი მადიარი წინ გაიჭრა, ოღონდ ტოპალოვთან დუეტში. ხუთიოდე წლის წინ ტოპალოვის თამაში მხოლოდ დადებითი რეცენზიების საგანი გახლდათ, მაგრამ ბულგარელი ნელ-ნელა მოეშვა, ელიტაში ადგილი დაკარგა და როცა ექსპერტებმა ამბერის ტურნირის ფავორიტები ჩამოთვალეს, ტოპალოვი მათში არსად იყო. მოხდა კი პირიქით: სტარტზე ბულგარელს უნგრელი ალმაში ბოლომდე შემოემარცხა, ანუ 2:0, მერე კი ინტრიგამ მკვეთრად იმატა, როცა ტოპალოვის პირისპირ შიროვი დასვეს. შიროვი ის კაცია, ვინც ბულგარელი გასული წლის სარაევოსა და წლევანდელ ვიიკ აან ზეეს ტურნირებზე ეფექტურად დაამარცხა. ტოპალოვმა შური იძია. ჩქარი ჭადრაკის პარტიაში იგი მოკლე და კონკრეტული იყო — ესპანურ პარტიაში სიახლე მე-9 სვლაზე ორი სვლის შემდეგ შიროვის მიქარვის თანხლებით და ქულა სვლათა ორი ათეულის ამოწურვისთანავე. ტოპალოვს თვალდახუჭულად მოგებაც შეეძლო, მაგრამ ღია პოზიციაში მარტივად მისაგნები გაგრძელება ვერ იპოვა და მუდმივი ქიშით დაკმაყოფილდა.

ყველაზე ნამდვილი გამოცდა ტოპალოვს მესამე ტურში ელოდა, როცა თავად კრამნიკის წინააღმდეგ გააწყო ფიგურები. სწრაფი ჭადრაკის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონთაგანი თეთრებით იყო და ბენონის დაცვაში მოპოვებული უპირატესობის ქულად გარდასახვას დიდხანს, დაჟინებით და ამაოდ ეცადა. ტოპალოვმა ნახევარი ქულა დაიტოვა და მხნედ შეება კომპიუტერის მონიტორს, რომელიც ვირტუალურად მისთვის კრამნიკს განასახიერებდა („ბრმა" ჭადრაკის პარტიებში კომუნიკაციისთვის კომპიუტერებს იყენებენ). 23 სვლის შემდეგ ტოპალოვის საქმე ცუდად იყო — 4 წუთი დარჩენოდა საკონტროლო სვლებისთვის და კრამნიკს კი ნახევარ საათამდე. რუსმა დროში უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენება სცადა და 23-ე სვლაზე 15 წუთი იფიქრა. გასაკვირია, მაგრამ კრამნიკის ამ ხნის ნააზრევი მაინც არ გამოდგა საუკეთესო. ტოპალოვმა სული მოითქვა და ენდშპილში, სადაც დაფაზე მხოლოდ ეტლები დახრიგინობდნენ, მოსაგებ ვარიანტს მიაგნო, ხოლო რადგან მესამე ტურში ლეკო ჩაჭრილიყო, ერთპიროვნული ლიდერიც გახდა.

ლეკოს ანანდმა აჯობა. ინდოელმა ტექნიკურად იმძლავრა სწრაფ ჭადრაკში, მეორეგან კი მეტოქეებმა საჩქაროდ ყველა ფიგურა გაცვალეს და ზავი გააფორმეს.

სხვებზე რა ითქმის? ბევრი არაფერი, მხოლოდ ლიუბომირ ლიუბოევიჩის გამორჩევა იქნება უპრიანი. ბებერი იუგის მოწყობილი მეორედ მოსვლა მონაკოში უკვე აღინიშნა გელფანდზე, ანანდსა და ივანჩუკზე გამარჯვებებით დაფაზე დაუხედავ პარტიებში. სწრაფ ჭადრაკში ლიუბოევიჩის ჟამთასვლით შეცვეთილი ტვინი ისე ვერ ვარგობს, მაგრამ ლიდერებში მაინცაა. მეორე და უფრო სახელოვანი ვეტერანი კარპოვი კი ნელ-ნელა პრესტიჟული ტურნირების მხოლოდ სიმბოლური დანამატი ხდება. პირველ ტურში იგი დაეჩაგვრინა ანანდს, მეორეში — ლეკოს, ბოლოს კი მარტო ორ ყაიმს გამორჩა ისრაელიდან ჩამოსულ ბორის გელფანდს, რომელიც, თავის მხრივ, მონაკოში სხვა ფავორიტებივით არამყარად ირჯება და ცხრილის მეორე ნახევრის სათავეშია მოქცეული.

გამოკვეთილი აუტსაიდერი არ არის და საერთოდ, პროგნოზები ახალ სენსაციებსა და სატურნირო ძვრებს წინასწარმეტყველებენ.

**დავით გულუა**

**ვითარება 3 ტურის შემდეგ**

1. ტოპალოვი 5; 2-3. ანანდი, ლეკო 4; 4-6. შიროვი, კრამნიკი, ლიუბოევიჩი 3,5; 7-8. გელფანდი, პიკეტი 2,5; 9-11. კარპოვი, ივანჩუკი, ალმაში 2; 12. ვან ველი 1,5

მძლეოსნობა

# ჩემპიონი დაშავდა

*მიუყვეთ ჰასნა ბენჰასის კვალს ათიოდე დღის წინათ ლისაბონში მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობაზე ქალთა 1 500 მეტრის გასაკვირად მოგების შემდგომ. 22 წლის მაროკოელი ლისაბონიდან რაბათს გაემგზავრა, სადაც მცირერიცხოვანმა ქომაგებმა ოვაციები დაახვედრეს. ჰასნამ ერთი კვირა ოჯახურ გარემოში დაისვენა, მერე კი ჩასხა მანქანაში თავისი ქმარი, აგრეთვე „კურდღელი" მალიკა მეიდიები, რომლის თანადგომაც მრავალ შეჯიბრზე დახმარებია და მეკნერისკენ გასწია, სადაც მაროკოს ეროვნული ზამთრის პირველობა უნდა შემდგარიყო. უსიამოვნება სწორედ გზაში მოხდა, როცა მანქანას რატომღაც კაპოტი თავისით აეხადა და შიგ მსხდომთ თვალსაწიერი მოუსპო. შეჯახების შედეგად ბენჰასიმ და მეიდიებმა ცხვირპირი მოიმტვრიეს, ქმარი კი უვნებლად გადარჩა. მაროკოს მძლეოსნობის სამეფო ფედერაციის ინფორმაციით, დაშავებულები უმალ რაბათის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ექიმთა თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.*




ჰასნა ბენჰასის ლისაბონში გამარჯვება ჩამწარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ერის ჩემპიონატი. IV ტური. 17 მარტი

# თავმდაბალი ჯალათი

**საფრანგეთი 35:43 უელსი**

**საფრანგეთი:** სადურნი, ბერნა-სალი, ბონეტი, ლომბარი, დომინისი; მერსერონი (ლამეზონი), გალტიე; კალიფანო (მარკონე), იბანესი, დე ვილიე, ორადუ, პელუ, მონი (ბეტსენი), მანი, ჟუიე
2ლ: ბონეტი, ბერნა-სალი; 2გ: მერსერონი, ლამეზონი; 7ს: მერსერონი (4), ლამეზონი (3)

**უელსი:** რ. უილიამსი, ტომასი, ტეილორი, გიბსი (ჯონსი), ჯეიმსი; ჯენკინსი, ჰაუელი; მორისი (ა. ლუისი), მაკბრაიდი, იანგი, გაფი (კ. ქვინელი), მური, ჩერვისი (გ. ლუისი), მ. უილიამსი, ს. ქვინელი
4ლ: ჰაუელი, ს. ქვინელი, ჯეიმსი, ჯენკინსი; 4გ: ჯენკინსი; 3ს: ჯენკინსი; 2ა: ჯენკინსი

**საფრანგეთის** ნაკრებმა მორიგი სირცხვილი ჭამა და ექვსი ერის ჩემპიონობის მოპოვების ყველა შანსი დაკარგა. ბერნარ ლაპორტის შეგირდებმა კარგადაც ითამაშეს და ორი ლელოც გაიტანეს, მაგრამ დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო დაისაჯნენ. უელსელებმა ოთხჯერ დაალელოვეს მასპინძლები და ტურნირში პირველი გამარჯვება იზეიმეს. დღის გმირი კი უდავოდ ნილ ჯენკინსი იყო, რომელმაც 28 ქულა მოიხვეჭა და სანაკრებო მატჩებში 1000-ქულიან ზღვარსაც გადააბიჯა.

ვგონებ, აქ განმარტება აუცილებელია. პირველ ტურში ინგლისთან დამარცხების შემდეგ ვწერდით, რომ ჯენკინსი პირველი მორაგბე შეიქმნა, საერთაშორისო მატჩებში 1000 ქულაზე მეტი რომ მოუგროვებიაო. მკითხველი რომ არ დაიბნეს, ვიტყვით, რომ ეს ორი ინფორმაცია ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, რადგან მორაგბეებს „ბარბარონსებისა“ და სხვა ინტერნაციონალური ნაკრებების (ჯენკინსის შემთხვევაში „ბრიტანელი ლომები“) შემადგენლობაში მოხვეჭილი ქულებიც ეთვლებათ. შაბათს „სტად დე ფრანსზე“ კი ჯენკინსმა მხოლოდ უელსისთვის გაკეთებული ქულებით მიაღწია 1013 ქულას.

დავუბრუნდეთ შეხვედრას, რომელიც ფრანგთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. „მამლები“ მეტოქის 22-მეტრიან ზონაში დაბანაკდნენ და ხიფათს ხიფათზე ქმნიდნენ. „წითელი ეშმაკუნები“ ძლივს აზერხებდნენ მათი შეტევების მოგერიებას, მაგრამ ხელით ბურთაობისას მცველი ჟან-ლუკ სადურნი და მარჯვენა ფრთა კრისტოფ დომინისი შეუდარებელნი იყვნენ და უელსელებსაც მოსვენება არ ჰქონდათ. თანაც „ლურჯების“ დაცვა თავიდან გაუვალი იყო და როგორც კი უელსელები ბურთს მიიღებდნენ, თითქმის მაშინვე კარგავდნენ.

ერთ-ერთ ასეთ მომენტში ფაბიენ გალტიემ გარე ნახევარმცველად კრისტოფ ლამეზონის ნაცვლად დაყენებულ ჟერალდ მერსერონს მიაწოდა პასი. ამ უკანასკნელმა სტუმართა დაცვის პირველი ხაზის გარღვევა შეძლო, სიჩქარეს მოუმატა, ბოლო დამცველი თავის თავზე მიიღო, ბურთი სებასტიან ბონეტის გადაუგდო და ფრანგ შუამარბსაც მისი ძელებს შორის დამიწება აღარ გასჭირვებია. მერსერონმა ლელო გარდასახა და მე-8 წუთზე საფრანგეთი 7:0 დაწინაურდა.

ფრანგებმა თავიანთი ძალა იგრძნეს და როგორც კი ბურთს დაეუფლებოდნენ, კომბინაციებს ხლართავდნენ. მერსერონი და გალტიე მშვენივრად წარმართავდნენ თავისიანების იერიშებს და „მამლებმა“ ოთხი საჯარიმოც მიითვალეს. თუმცა უელსელებსაც არ სურდათ უბრალო სტატისტების როლში ყოფნა და ისინიც ბევრს ათამაშებდნენ ბურთს ხელით. ნილ ჯენკინსი კი შესაძლებლობის მიცემისთანავე კარში ურტყამდა. ჰოდა, რადგან ეს კაცი თავისი სნაიპერული თვისებებით გამორჩეულია, 33-ე წუთზე ანგარიში 19:9 იყო.

36-ე წუთზე ფრანგთა ქებული დაცვაც გაიჭრა. სტუმართა შერკინების ნახევარმცველი ჰაული თავისავე ნახევარზე ერთი ბეწო ნახვრეტში გაძვრა, ბოლო მცველ სადურნისაც იოლად დაუსხლტა და დაახლოებით 70 მეტრის გარბენის შემდეგ ბურთი ძელებს შორის დადო. მალე შესვენების დროც დადგა.

თამაშის განახლებისთანავე ფრანგთა იერიშებიც განახლდა. ისინი ორი წუთის განმავლობაში ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ლელოს გატანა მაინც ვერ შეძლეს. ამ შეტევისას მარჯვენა მუხლი იტკინა მერსერონმა და იგი ლამეზონმა შეცვალა. ოთხ წუთში სკოტ ქვინელმა თავისიანების მშვენიერი კომბინაცია დააგვირგვინა, ჯენკინსმა ლელო გარდასახა, 998 ქულა დააგროვა უელსის მაისურით და... წინ უელსი გავიდა — 23:19.

მალე ლამეზონმა საჯარიმო შეაგდო, რასაც ჯენკინსმა არეკით უპასუხა (1001 ქულა), 53-ე წუთზე კი ისევ ქვინელმა ივაჟკაცა, „მამლების“ დაცვა გაჭრა და დეიფიდ ჯეიმსს გაატანინა ლელო, რომელიც ჯენკინსმა გარდასახა (1003 ქულა). ანგარიში 33:22 გახდა უელსის სასარგებლოდ.

თუმცა საფრანგეთისთვის ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული. რაფაელ იბანესი მეტოქის დაცვაში შეიჭრა, ზედახორიდან ბურთი გალტიემ გამოიტანა და კრისტოფ მონის მიაწოდა, რომელმაც სადურნი მოძებნა. კომბინაცია კი ფილიპ ბერნა-სალმა დააგვირგვინა. ლამეზონმა გარდასახა და 29:33. 66-ე და 74-ე წუთებზე „ტიტუმ“ ორი საჯარიმო შეაგდო და ისევ საფრანგეთი დაწინაურდა (35:33). ოღონდ მალე ისევ ჯენკინსმა ივაჟკაცა. მან ჯერ ორმოცილდე მეტრიდან გაიტანა არეკი (1006 ქულა), მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი მეტოქის შეცდომით ისარგებლა და გარდასახული ლელოთი მატჩს წერტილი დაუსვა (1013 ქულა).

„ათასქულიანი ზღვარი დიდი არაფერია. უბრალოდ, ეს პატივია, თორემ მთავარი ყოველთვის უელსის გამარჯვებაა. რაც შეეხება არეკნებს, სპეციალურად არ მივარჯიშნია, უბრალოდ, ეს ინსტინქტია“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ფრანგთა ჯალათმა თავმდაბლურად.

„დღეს მაყურებელმა მშვენიერი სპექტაკლი ნახა. ბატონი ჯენკინსი მეორე ტაიმში შეუდარებელი იყო. იგი უდიდესი დონის მორაგბეა“ — ქება არ დაიშურა თავისი დამრიგებლისთვის უელსის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ, რომლის სკამიც წაგების შემთხვევაში ძლიერ მოირყეოდა. ახლა კი ჰენრი უეჭველად დარჩება თანამდებობაზე 2003 წლამდე, თუ რა თქმა უნდა, იტალიაში სამარცხვინოდ არ წააგო.



ნილ ჯენკინსი ფრანგთა ლელოში ბურთიანად გაკოტრიალდა

# გაუხარელი მხოლოდ იტალიაა

**შოტლანდია 23:19 იტალია**

**შოტლანდია:** პატერსონი, კრეიგი (კ. მიური), თაუნსენდი, ჯ. ლესლი, ლოგანი; ჰოჯი, რედპატი; სმიტი, ბალოკი (სკოტი), სტიუარტი (მაკილვეინი), ს. მიური, გრაიმსი, მ. ლესლი, პეტრი, ტეილორი (მეტრი)
1ლ: სმიტი; 5ს: ჰოჯი; 1ა: ჰოჯი

**იტალია:** სტოიკა, პერძიანი, პოცებონი, დალანი (რაიმერი), მარტინი; დომინგესი, ტროიანი (მაკანტონიო); ლო ჩიჩერო, მოსკარდი, პრომენტერი კარტი (პერუჯინი), ვიზერი, გრიტი (კაიონე), პერსიკო, ბერგამასკო, ჯაკონატო
1ლ: ბერგამასკო; 1გ: დომინგესი; 4ს: დომინგესი

**შარშან** ხუთი ერის იტალიაც დაემატა და ექვსად აქცია. აპენინელების დებიუტი რომში შედგა შოტლანდიასთან, რომელიც ხუთი ერის ბოლო ჩემპიონი იყო. ყველას გასაოცრად, მატჩი მასპინძლებმა მოიგეს. ჰოდა, ნაწყენმა სკოტებმა ამ შაბათს შეძლეს რევანშის აღება, თუმცა უნდა ითქვას, რომ რის ვაი-ვაგლახით.

მასპინძლებმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნეს დანკან ჰოჯის არეკის წყალობით და თითქოს იოლი გამარჯვებაც უნდა მოეპოვებინათ, მაგრამ ნურას უკაცრავად. იტალიელთა დაცვა მშვენივრად იყო ორგანიზებული და კენტუკელებმაც მორიგი ქულები მხოლოდ 20 წუთის შემდეგ მოიხვეჭეს. თავი კი ისევ ჰოჯმა გამოიჩინა, ოღონდ ამჯერად საჯარიმოდან.

ამის მერე იტალიელებმა იგდეს ხელთ ინიციატივა და დაამტკიცეს, რომ მათი თამაში პროგრესს განიცდის. ფილიპო ფრატის პასის შემდეგ შერკინების მესამეხაზელი მაურო ბერგამასკო მარცხენა ფლანგზე გაიჭრა. მისი ბრწყინვალე რეიდი ვერც გრეგორ თაუნსენდმა შეაჩერა, ვერც კრის პატერსონმა და „ტროველზის“ წევრმაც სკოტთა ლელოს ბურთიანმა უწია. ეს 28-ე წუთზე მოხდა.

სტუმართა დამრიგებელმა დიეგო დომინგესმა გარდასახვას ხუთ წუთში საჯარიმოც დაურთო და ტაიმი იტალიამ 10:6 მოიგო. შორის დასაწყისში ჰოჯმა და დომინგესმა თითო საჯარიმო გაცვალეს და ანგარიში 13:9 გახდა აპენინელთა სასარგებლოდ.

49-ე წუთზე ფრანგმა მსაჯმა ჟოელ დიუმემ კარლო კეკინატო 10-წუთიანი გაძევებით დასაჯა, რადგან იგი თამაშის წესებს ძალიან ხშირად არღვევდა. რიცხობრივი უპირატესობით მასპინძლებმა ისარგებლეს და წინაც გაიჭრნენ. ჯერ ჰოჯმა შეაგდო საჯარიმო, 55-ე წუთზე კი მარტინ ლესლის აქტიურობის შემდეგ ტომ სმიტმა დაალელოვა მოწინააღმდეგე.

თუმცა „სკუადრას“ ყურები არ ჩამოუყრია და დომინგესის ორი საჯარიმოთი (59-ე, 63-ე) ისევ დაწინაურდა. შოტლანდიელთა საბედნიეროდ, ჰოჯმა კიდევ ექვსი ქულის გაკეთება შეძლო და სკოტებმა 23:19 გაიმარჯვეს.

**ბაჩო ბუჩუკური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 167:41 | 6 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:37 | 4 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 96:90 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 86:107 | 3 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 60:106 | 3 |
| იტალია | 4 | 0 | 0 | 4 | 83:174 | 0 |



მალხაზ ურჯუკაშვილი

# ურჯუკაშვილს სწავლა მოსწყურდა

## რემბო თბილისში იომებს

საქართველოს ნაკრების 21 წლის გარემარბი მალხაზ ურჯუკაშვილი კარიერას თბილისის „უნივერსიტეტში“ გააგრძელებს. მოგეხსენებათ, იგი შარშან არმიული კლუბის ღირსებას იცავდა. თუმც ნახევარი სეზონი უქმად მოუწია ყოფნამ. „ყოჩებთან“ მომხდარი ინციდენტის გამო ახალგაზრდა მორაგბე რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა, ეროვნული ნაკრებიდანაც მოკვეთა და მშობლიური კლუბიდანაც. ამის მიზეზი კი ფეხბურთიდან ცნობილი „მახოს“ საქციელი გახდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ურჯუკაშვილმა და მატჩის მთავარმა მსაჯმა გუგა ბაბუნაშვილმა რაღაც ვერ გაიყვეს. მალხაზმაც არც აცია, არც აცხელა და მთავარ მსაჯს ცხვირ-პირში წიხლი უთავაზა. ვგრე არ უნდაო და დისციპლინარებმა ურჯუკაშვილს სამუდამო დისკვალიფიკაცია არგუნეს. თუმც რაგბიდან მოკვეთილი მორაგბე მაინც ვარჯიშობდა, იძულებულად ჭაბუკ და ბავშვთა ლიგებში მსაჯობით დანაშაულის გამოსყიდვას ლამობდა. მას ქართული რაგბის მესვეურებმაც შეაწიეს სიტყვა და კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს მალხაზ ურჯუკაშვილის შეწყალების თხოვნით მიმართეს. გეგიძემ გაითვალისწინა მორაგბის ახალგაზრდული ასაკი, ისიც, რომ თავის საქციელს ნანობდა და ურჯუკაშვილს თამაშის ნება დართო. ამის შემდეგ „მახოს“ საშვილიშვილო მხოლოდ თანხვეც იასპარეზა, აგერ ეროვნულ ნაკრებშიც ლერის ოფელს და ლამისაა გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდეს.

ურჯუკაშვილის გადაბარებით „უნივერსიტეტი“ საგრძნობლად გაძლიერდება. განვლილ ჩემპიონატში სტუდენტები რაიმე მიღწევებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან, ეგ კი არა, შარშან „უნივერსიტეტმა“ ბოლო ადგილი დაიკავა. სტუდენტური გუნდი ამჟამად თბილისში გადის შეკრებას და მომავალი პირველობისთვის ემზადება.

გამალებით ვარჯიშობენ ბათუმის „ლათვებიც“. გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე გუნდის გადახალისებას შეუდგა და ძველი გვარდიიდან მხოლოდ სამი მორაგბე დაიტოვა. კახა მაჩიტიძე, გოჩა ხონელიძე და ჩირგაძე კვლავ ზღვისპირელთა ღირსებას დაიცავენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბათუმში ითამაშებს ასკ-ის ყოფილი ფორვარდი კახა უჩავა.

არმიული კლუბი დატოვა შერკინების პირველმახაზელმა მიხეილ სუჯაშვილმაც, იგი მომავალ სეზონში თბილისის „ლოკომოტივში“ იბურთავებს. რკინიგზელებმა თავიანთი ერთ-ერთი ლიდერი თამაზ ჩადუნელი საფრანგეთში მიავლინეს, მის შემცვლელად კი სწორედ სუჯაშვილი დაიგულეს. სავარაუდოდ, „ლოკომოტივში“ გააგრძელებს კარიერას ვეტერანი მერკინალი ზურაბ რეხვიაშვილიც. იგი ადრეც თამაშობდა რკინიგზელთა გუნდში, ბოლო ორი სეზონი კი ბათუმში გაატარა და ჩემპიონიც გახდა. „რემბო“, როგორც რეხვიაშვილს მოიხსენიებენ, „ლათვებიდან“ წამოვიდა და კვლავ „ლოკომოტივში“ აპირებს თამაშს.

**ბაჩო ხვანიძე**

იყიდება ან ქირავდება
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ზე-12. მეოთხე ტური

# მაჩანჩალა გალიდერდა

**ჰამილტონი 34:16 ოკლენდი**
ჰამილტონი: 4ლ: ლოუენი (3), მიური; 4გ და 2ს: ჯეკსონი
ოკლენდი: 1ლ: რობინსონი; 1გ და 3ს: სპენსერი

**კანბერა 39:30 პრეტორია**
კანბერა: 5ლ: უოლკერი (2), ბარტოლომეუსი, ფინეგანი, ბოლი; 4გ და 2ს: მორტლოკი
პრეტორია: 4ლ: ლომბარდი (2), ჯეკობსი, ლეონარდი; 2გ და 2ს: გუსენი

**იოჰანესბურგი 28:21 სიდნეი**
იოჰანესბურგი: 3ლ: მულდერი, ჰუმანი, ოლკოკი; 2გ და 3ს: ვან რენსბურგი
სიდნეი: 2ლ: შერბინა, სტენიფორტი; 1გ: პეინი; 3ს: ბერკი

**დურბანი 39:21 ველინგტონი**
დურბანი: 4ლ: ტერბლანში, სვარტი, ვან რესბურგი, ვან დერ ბერგი; 2გ და 5ს: ჯეიმსი
ველინგტონი: 3ლ: ფლემინგი, უმაგა, სტეინმეცი; 3გ: ბოლუელი, ლილი, ვილი

**დანიდინი 24:23 კეიპტაუნი**
დანიდინი: 2ლ: მაკა, ტუილევუ; 1გ და 4ს: ბრაუნი
კეიპტაუნი: 2ლ: გერბერი (2); 2გ და 3ს: ვან სტრაატენი

*კრაისტჩერჩი და ბრისბენი ისვენებდნენ*

გასულ უქმეებზე სამხრეთ ნახევარსფეროში უმთავრესი საკლუბო ტურნირის, ზე-12-ის მეოთხე ტური გაიმართა. ტრადიციისამებრ მასპინძლებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და ხუთივე მატჩი მოიგეს. რადგან ლიდერი, ავსტრალიის სიდნეი სტუმრად თამაშობდა, მეორეადგილოსანი სამხრეთ აფრიკის დურბანი კი — შინ, მათ შორის ადგილები შესაბამისად გაიცვალა და გათამაშების ცხრილის სათავეში ის გუნდი მოექცა, რომელმაც შარშან მხოლოდ ერთი გამარჯვების მოპოვება შეძლო. წინა სეზონის მეორე მაჩანჩალა — პრეტორია ისევ ძველ ადგილზეა. მასზე ერთი საფეხურით მაღლაა ველინგტონი, რომელმაც თუ ასე გააგრძელა, წლის იმედგაცრუების პრიზს არავის დაუთმობს.

ლომუ-კალენი-უმაგას ჯადოსნური ტრიო ახალზელანდიელებს ვერაფერს შველის. არადა, ველინგტონმა მატჩი აღმაფრენით დაიწყო და ზედიზედ რამდენიმე შეტევაც განახორციელა, რომელთაგან ორი ლელოთი დააგვირგვინა. თუმცა შეხვედრის არბიტრმა, თამაშის წესები დაირღვაო და არც ერთი ლელო არ ჩათვალა. შემდეგ კი დურბანელთა ჯერიც დადგა. მალე მათ მეტოქის ლელოს ხაზსლოვეს საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს, რომელიც უმალ გაათამაშეს და სტივენ ტერბლანშმა მოწინააღმდეგის დალეწვა შეძლო.

გარდა ამისა, ველინგტონმა კიდევ სამი ლელო მიიღო, რასაც ამღერიტეთი უპასუხა, მაგრამ ვინაიდან სტუმართა დამრტყმელი დევიდ ჰოლუელი მარცხენა ფეხზე იყო ამღვარი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში დათმო შეხვედრა. შესვენებაზე მასპინძლები 20:7 იგებდნენ და მეორე ორმოცწუთეულში კიდევ უფრო განიმტკიცეს უპირატესობა. შემდგომ ველინგტონი პრემიალური ქულის გარეშე დარჩა და თუ დაცვას დროზე არ მიხედა, როგორც ჩანს, ნახევარფინალს ვეღარ იხილავს. თუმცა დაცვა რომც გააძლიეროს, უკვე ძალიან გაუჭირდება საუკეთესო ოთხეულში შეღწევა.

დურბანს მხოლოდ ერთი ქულით ნამორჩება ბობ დვაიერის გაწვრთნილი სიდნეი, რომელიც შარშან ავსტრალიელთაგან ყველაზე ცუდი გუნდი იყო. მართალია, სიდნეელებმა პირველი მარცხი იწვნიეს, მაგრამ საბოლოოდ იოჰანესბურგელებს ოდენ ერთი გარდასახული ლელოთი ჩამორჩნენ და მეოთხე პრემიალური ქულაც მოიხვეჭეს.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. სამხრეთაფრიკელებს მეტოქის შეტევების შეჩერება უჭირდათ და თამაშის წესებს არღვევდნენ. ეს ავსტრალიელთა დამრტყმელმა მეტ ბერკმა მათ არ აპატია და მალე ორი საჯარიმოც გაუტანა. ინიციატივას ამის მერეც სიდნეელები ფლობდნენ და რამდენჯერმე ბურთი ლამის იოჰანესბურგის ლელოშიც დადეს, მაგრამ ამაოდ, რადგან ხელით თამაშისას ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ტაიმის მიწურულს უკვე მასპინძლები გააქტიურდნენ, მაგრამ ვერც მათ იხეირეს და მხოლოდ ერთი საჯარიმოთი დაკმაყოფილდნენ.

მეორე ტაიმი ისევე დაიწყო, როგორც პირველი დასრულდა, ანუ სახიფათო მომენტებს ორივე გუნდი ქმნიდა, მაგრამ ლელო მაინც არ გადიოდა. ბოლოს ისევ მასპინძლებმა გატეხეს ნავსი და გრძელი პასების წყალობით, როგორც იქნა, გაჭრეს სტუმართა დაცვა. პირველად ტინუს დელპორტის პასის შემდეგ თავი იაპი მულდერმა გამოიჩინა, რასაც ჰუმანმა და ოლკოკმაც მიაყოლეს ლელოები. სიდნეიმ ამის მერეღა გაიტანა ორი ლელო და პრემიალურ ქულასაც გამორჩა.

შარშანდელმა ფინალისტმა და წლევანდელი ტურნირის მთავარმა ფავორიტმა კანბერამ მაჩანჩალა პრეტორიას უმასპინძლა და მოგებული მატჩი კინაღამ დათმო. „ბრამბით" შერკინების ნახევარმცველ ჯორჯ გრეგანის წინამძღოლობით კანბერელებმა უცებ მოიპოვეს უპირატესობა და, წესით, მატჩი მშვიდად და აუღელვებლად უნდა ჩაემთავრებინათ, მაგრამ ამის საშუალება „ხარებმა" არ მისცეს. პრეტორიელებმა შეხვედრის ბოლოს გაიბრძოლეს და კინაღამ მატჩის ბედიც შემოაბრუნეს, მართალია, ვერ მოიგეს, მაგრამ კანბერას სტუმრად ოთხი ლელო გაუტანეს, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა და პრემიალური ქულიც სავსებით დაიმსახურეს.

ტაიმი მასპინძლებმა 24:11 მოიგეს და მეორის დასაწყისში ფინეგანის ლელოთი და მორტლოკის გარდასახვით 20-ქულიანი უპირატესობაც მიიღეს, მაგრამ ლომბარდის მეორე ლელომ პრეტორიელებს თითქოს მეორე სუნთქვა გაუხსნა. და მიუხედავად იმისა, რომ მალე მათ 10 წუთით ყვსელსი გაუშვეს, ჯეკობსმა მესამეჯერ დაალელოვა მასპინძლები. ზუსტად სამ წუთში ლეონარდი გამოირჩა და ანგარიში 34:30 გახდა. თუმცა „ხარებმა" მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და მეოთხე მარცხი იწვნიეს.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში გატანილი ლელოთი მეტად საჭირო ოთხი ქულა ჩაიწერა აქტივში ახალზელანდიურმა დანიდინმა. მან სამხრეთაფრიკული კეიპტაუნი იმსხვერპლა. სტუმრებმა თამაშის წესების დარღვევით სცადეს თავის დაცვა და ეს საკმაოდ კარგადაც გამოუვიდათ, რადგან დანიდინის დამრტყმელი ტონი ბრაუნი, მოულოდნელად, საკმაოდ უხეიროდ გაისარჯა. ტაიმი ფრედ 9:9 დასრულდა. შესვენების შემდეგ მაკას ლელოს გერბერმა ორით უპასუხა და თითქოს კეიპტაუნს წინა ტურში ველინგტონში გამარჯვების შემდეგ ახალ ზელანდიაში მეორედაც უნდა გაეხარა, მაგრამ ტუილევუს ლელომ მოგებების გრაფაში „ორიანი" დანიდინის გასწვრივ ჩაწერა.

ტურის პირველი მატჩში, რომელიც პარასკევს გაიმართა, ერთმანეთს ახალზელანდიური გუნდები დაუპირისპირდნენ. ჰამილტონის უპირატესობა აშკარა იყო და მასპინძლები მოპოვებული სამი ქულის წყალობით გათამაშების ცხრილში იმედგაწყვეტილ მეტოქეს დაეწივნენ. ლოუენმა, რომელმაც ჰეთ-ტრიკი შეასრულა, პირველად თავი 30-ე წუთზე გამოიჩინა. მან მეორე ლელო ტაიმის მიწურულს გაიტანა, რასაც ჯეკსონმა ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმოც დაუმატა. ოკლენდმა შეხვედრამდე მხოლოდ ორი საჯარიმოს შეგდება მოახერხა და გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, პირველივე ორმოცწუთეულში გაირკვა.

მეხუთე ტურში, რომელიც მომავალ უქმეებზე ჩატარდება, ცენტრალური მატჩი დურბანში შედგება — „ზვიგენები" სიდნეის უმასპინძლებენ.

**გაგი გუჩუა**



დურბანი — ველინგტონი. სანამ ტანა უმაგა შეჩერებულა, მასპინძლების სტივენ ტერბლანშმა პასის გაკეთება მაინც მოასწრო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დურბანი | 4 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 116:63 | 17 |
| სიდნეი | 4 | 3 | 0 | 1 | 3 | 1 | 151:65 | 16 |
| კანბერა | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 125:80 | 15 |
| იოჰანესბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 130:85 | 14 |
| დანიდინი | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 97:117 | 9 |
| ოკლენდი | 4 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 80:104 | 9 |
| ჰამილტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 100:127 | 9 |
| ბრისბენი | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 2 | 91:89 | 7 |
| კრაისტჩერჩი | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 68:79 | 6 |
| კეიპტაუნი | 4 | 1 | 0 | 3 | 0 | 2 | 81:103 | 6 |
| ველინგტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 80:113 | 4 |
| პრეტორია | 4 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 74:148 | 2 |

*მოგებისათვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისათვის — 2, წაგებისათვის კი არაფერი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისათვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისათვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.*



ხუთი რგოლი

# სტამბოლის მესამე იმედი




სტამბოლის კანდიდატურის თურქი ბავშვებიც მხარს უჭერენ

ევროპიდან ცხრად მომძლავრებას რომ აზიელების მომრავლებაც ახლავს, ამაში მეზობელმა თურქებმაც დაგვარწმუნეს. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში თურქებმა მართლაც რომ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს როგორც ეკონომიკურ, ისე სპორტულ ასპარეზზე. წინათ თუ ისინი ჩვენს სპორტულ შედეგებს შენატროდნენ, ახლა ისე გვაქვს საქმე რომ სამაგალითოდ ისინი გვგვიხდია. ამის დასტურად მათი შარშანდელი გამარჯვებებიც კმარა. „გალათასარაის" ფეხბურთელების მიერ უეფასა და საკონტინენტთაშორისო თასებზე გამარჯვებებს თურქებმა სიდნეის ოლიმპიადის ჯილდოებიც (3 ოქრო და 2 ბრინჯაო) დაურთეს, ახლა კი თავად სურთ ახეთი თამაშების მასპინძლობა.

ოსმალები 2008 წლის ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისათვის იბრძვიან. თუმცა ამგვარი სადღესასწაულო პირველად როდი აშლიათ. სტამბოლი უკვე მესამედ ცდილობს სპორტის ამ უდიდესი ღონისძიების გამართვას. პირველად მათ ამის იმედი 1993 წელს ჰქონდათ, მაგრამ ახეთი პატივი მაშინ სიდნეის ხვდა წილად. იგივე სურათი ამეორდა 1997 წელსაც, თუმცა მათ გზა მეზობელმა ბერძნებმა გადაუღობეს, რომლებიც 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ათენი გამოდგა. ახლა თურქები ფიქრობენ, იქნებ მესამედ მაინც გაგვიმართლდესო.

ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო. თურქებიც იმედის თვალით შეჰყურებენ სოკ-ის კომისიებს, რომლებიც გუშინ ჩამოვიდნენ ორ კონტინენტზე მდებარე თურქეთის კოსმოპოლიტურ დედაქალაქ სტამბოლს.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მასპინძლები მაქსიმალურად შეეცდებიან ქალაქის კოსმოპოლიტურ მხარეზე გაამახვილონ ყურადღება იმ იმედით, რომ ნაირფეროვნება მათ მისცემს უპირატესად გაზრდის. გარდა ამისა, მათთვის ეს ხელსაყრელიცაა — თურქებს სურთ საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაანახონ ის, რომ 65 მილიონიან მუსულმანურ სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც შეუძლიათ მშვიდობიანად თანაცხოვრება. ეს იმის ფონზე, როდესაც მათ ჯერ კიდევ მოუგვარებელი აქვთ ქურთების პრობლემა. დასავლური ურთიერთობა აქვთ საბერძნეთთან და სომხეთთანაც, რომლებიც პასუხისმგებლობას აკისრებენ თურქებს სტამბოლიდან ქრისტიანული კოშკის აზრდარცვაში.

ახლა თუ ისე დღეს სტამბოლის საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადის კამპანიის საბარგებლოდ გამოიყენებს ქალაქის 10-მილიონიან მოსახლეობის ქურთთა, ბერძენთა თუ სომეხთა სათემოდობებს.

ჩვენ ვფიქლოვ ამას წარმატებად მივაჩნევთ. სოკ-ის კომისიები სტამბოლს ნახავენ ისეთს, როგორიც ის არის, ეს კი მათზე შთაბეჭდილებას მოახდენს" — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა კოორდინატორმა მეჰმეთ დუმანმა.

თურქთა უმთავრესი სტრატეგია სოკ-ის 17-კაციანი რაზმისთვის თავის მოწონებაა. ოლიმპიადისთვის „მებრძოლებმა" კარგად უწყიან, რომ ლოზანაში, სოკ-ის შტაბ-ბინაში პოლიტიკურ ფაქტორებს გვერდს ვერ აუვლიან, თუმცა თავიანთი უპულებებისაც კარგად მოუხსენებათ.

„გაითვალისწინეთ, რომ ოლიმპიადების იდეა ილაშქრებს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. მხოლოდ სტამბოლს შეუძლია სოკ-ს მისცეს იმის შანსი, რომ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს იმ ქვეყანამ, რომლის მოსახლეობაშიც მუსულმანები ჭარბობენ" — ოლიმპიზმის მამების გახაგონად ამბობს სტამბოლის საორგანიზაციო ჯგუფის გენერალური დირექტორი იალჩინ აკსაი.

რაც შეეხება ოლიმპიადის სტუმართა ტრანსპორტირების პრობლემას, აკსაი ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეუფიქრიანებულა, რადგან ბოსფორის თავზე გადებულ ხიდზე, რომელიც ქალაქის ორ ნაწილს აკავშირებს, ხშირია საცობები, რომელიც ხანდახან საათობითაც გრძელდება. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ სექტემბერში გახსნილი ახალი მეტრო სარკინიგზო ხაზი ქალაქს ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს. თუმცა, პირველი ხაზის ამოქმედება მათ რვაწლიან შრომად და 600 მილიონ დოლარად დაუჯდათ.

საგულისხმოა ოლიმპიადის მასპინძლობა წინადადებულობაც. უფრო სწორად 1999 წლის მიწისძვრით მიღებული მწარე გამოცდილება. მაშინ სტამბოლის გარეუბანში მიწისძვრის შედეგად 19 ათასი ადამიანი დაიღუპა. გენერალური დირექტორის თქმით, შესაძლო უბედურების თავიდან ასაცილებლად მათ შეიმუშავეს ისეთი ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც სპორტსმენებსა თუ მწვრთნელებს მიწისძვრისგან დაიცავს.

გარდა ამისა, წლის ბოლოს დასრულდება 80-ათასიანი სტადიონის მშენებლობაც.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კუთხალურად მიიჩნევენ, თურქებს იმედი ხელსაც არ გადაუწურავთ. პირიქით, თავსაც იწონებენ, ნახეთ, რამდენი შეგვიძლია და 2008 წლამდე მეტსაც შევძლებთო.

„ერთადერთი, რისთვისაც სოკ-მა სტამბოლი ფინალისთვის შეარჩია, ისაა, რომ მათ ნახეს ის, რაც ჩვენ ოლიმპიადის გარეშე განვახორციელეთ ამ რვა წლის განმავლობაში. ეს არის საბუთი იმისა, თუ რის გაკეთება შეგვიძლია მომავალი შვიდი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, თუ ამის შანსს მოგვცემენ" — განაცხადა იალჩინ აკსაიმ.

**გიგა გურასპიშვილი**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

**კროკოს ადმინისტრაციის განცხადება**

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


**გერმანია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | კიკერსი-ალენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 002 | ქემნიცი-ობერჰაუზენი | 3,1 | 3,2 | 1,9 |

**საფრანგეთი. მე-2 დივიზიონი. 32-ე ტური**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 012 | სოშო-ნანსი | 1,75 | 2,9 | 4,4 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 013 | ტელსტარი-ვოლენდამი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**ბელგია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 014 | სერკლი-სტრომბეკი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.35 | 016 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**პორტუგალია. თასის 1/2 ფინალი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 017 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 018 | პორტუ-სპორტინგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. მე-2 მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 019 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**პოლონეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. 1-ლი მატჩები**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 022 | ვისლა-ამიცა | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**ლიბერტადორესის თასი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 503 | კრუს ასული-სან კაეტანო | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 05.40 | 504 | ტაჩირა-ვასკო და გამა | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 06.00 | 505 | რივერ პლეიტი-ელ ნასიონალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 506 | სპორტ ბოისი-სერო პორტენო | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 05.30 | 507 | ხუნიორი-ველეს სარსფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**კალათბურთი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ბოსტონი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.00 | 811 | ინდიანა-ორლანდო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.00 | 814 | მილუოკი-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 815 | მინესოტა-დალასი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 816 | გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 817 | ატლანტა-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 818 | კლივლენდი-ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 819 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 820 | იუტა-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 821 | სიეტლი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 822 | კლიპერსი-ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 823 | საკრამენტო-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 906 | კაროლინა-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 907 | კოლუმბუსი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ფლორიდა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.30 | 909 | ატლანტა-ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 910 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 911 | მინესოტა-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 912 | დალასი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 913 | ფინიქსი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 914 | ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,3 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 915 | ბოსტონი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 916 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 917 | დეტროიტი-მინესოტა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 05.30 | 918 | ჩიკაგო-ნეშვილი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.30 | 919 | სენტ ლუისი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 920 | კალგარი-ფილადელფია | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 07.30 | 921 | სან ხოსე-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. !

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში ალნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

FF BB საფრანგეთი

# ორგან ორი ოვერტაიმი

**XXI ტური**

**გრაველინი — პო ორტეზი 70:74, მონპელიე — რასინგი 91:82, ბურგი — სტრასბური 82:86, შოლე — ანტიბი 86:76, ლე აგრი — დიჟონი 79:84, ნანსი — ბეზანსონი 78:72, შალონი — ლე მანი 72:74, ევრე — ვილერბანი 71:101**

**21-Ე ტურის** მატჩში ლიდერი „ვილერბანი“ „ევრეს“ ესტუმრა, სადაც მუდმივად ძალიან რთული მატჩები ჰქონდა ხოლმე და მარცხიც არაერთხელ უგემია. ამჯერად მასპინძლებს აკლდათ თავიანთი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ჯეიმი არნოლდი (20 ქულა), რომელიც ლიგაში ყველაზე მეტ ბურთსაც ხსნის (11,4), რამაც „ვილერბანს“ გამარჯვება მეტისმეტად გაუიოლა. მართალია, „ევრეს“ გამთამაშებელი ჯეიმს ბლეკველი დაუბრუნდა და მთავარმა მწვრთნელმა მომავალი სეზონიდან მის შემცვლელად შეგულებული მეისონიც ათამაშა, მაგრამ ამან „მწვანეებს“ მოგებაში ხელი ვერ შეუშალა.

„ვილერბანი“ თავიდანვე დაწინაურდა. მან პირველი მეოთხედი 23:16 მოიგო, ტაიმი კი 49:35, რაც ზუსტი სამქულიანების (8 ტაიმში, 15 მატჩში) დამსახურებაა. მომხდურთაგან საუკეთესო ამერიკელი ლეგიონერი ედვარდი იყო (29 ქულა), რომელსაც მატჩის ჩამთავრება არ დასცალდა, რადგან 36-ე წუთზე მეხუთე პერსონალური ჯარიმა მიიღო.

პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო „ლე მანმა“, რომელიც გათამაშების ცხრილში მეორე საფეხურზეა მოკალათებული. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, რომელთაგან ჯეი დი ჯეკსონია გამოსარჩევი. ამ შავკანიანმა ყველა სროლა ჩააგდო და პირველ მეოთხედში 16 ქულა (სულ 21) მოხვეჭა, ამიტომ მე-10 წუთზე „ლე მანი“ 29:20 წინ გაიჭრა. თუმცა სტუმრები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და ტაიმი მხოლოდ 46:40 მოიგეს.

შესვენების შემდეგ „შალონი“ გაცილებით უკეთ ათამაშდა და 34-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა კიდეც — 51:51. თუმცა, ბოლო წუთებზე კინგისა და ჯეკსონის არყოფნის მიუხედავად, ფილიპ ერვეს შეგირდებმა მაინც შეძლეს, შალონელებისთვის ხელიდან გამარჯვებას გამოეგლიჯათ.

გრაველინში გამართულ მატჩს 3 500 მაყურებელი დაესწრო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრიბუნებზე ნემსიც არ ჩავარდებოდა. მასპინძლებმა მატჩი კარგად დაიწყეს, შორიდან ზუსტად ისროდნენ, დაცვაშიც მშვენივრად ირჯებოდნენ და მეოთხედი 27:20 მოიგეს, მე-13 წუთზე კი უკვე 11 ქულით იყვნენ წინ — 35:24. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „პო ორტეზის“ რიგებში პლანეტის ყველაზე მაღალი კალათბურთელი, რუმინელი გეორგე მურეშანი არ იყო, სტუმრებმა მაინც მოახერხეს ფარზე გაბატონება (41 მოხსნა 29-ის წინააღმდეგ) და ტაიმის ბოლოს ანგარიშის გათანაბრება (40:40). მეორე ნახევარშიც თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა, რომელშიც იღბალმა პოელებს გაუღიმა და მათ მეთოთხმეტე გამარჯვებაც მოიპოვეს.

გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში მყოფმა „ბურგმა“ ბევრი კი იბრძოლა ევროსაგზურის კანდიდატ „სტრასბურთან“ და ტაიმი ფრედაც (37:37) დაასრულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქულის მეტს ვერაფერს გამორჩა. არადა, მესამე მეოთხედში ბურგელებმა 7 (!) სამქულიანი ჩააგდეს და ერთი პირობა 7 ქულითაც დაწინაურდნენ (68:61), თუმცა დარჩენილ დროში მეტოქეს ფიზიკურად დაეჩაგრინენ და მორიგი მარცხი იწვნიეს.

მაჩანჩალა „მონპელიეს“ წინააღმდეგობის დასაძლევად დედაქალაქის „რასინგს“ ორი დამატებითი დრო დასჭირდა. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე პარიზელი კინგი იყო, რომლის 34 ქულაც სეზონის მეორე შედეგია. რეკორდი კი, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მონპელიელ კერტის მაკკენტსს ეკუთვნის (35 ქულა), რომელმაც ამ მატჩში 25 ქულა მოაგროვა.

ასევე ორმა ოვერტაიმმა გამოავლინა უძლიერესი ჰავრში, სადაც „დიჟონმა“ გამარჯვება ფარზე ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიპოვა. დიჟონელები 50-ჯერ დაეუფლნენ ფარიდან ასხლეტილ ბურთს და როგორც ჩანს, პლეი ოფში მოხვედრაც არ გაუჭირდებათ.

**ტაბი ბურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 20 | 19 | 1 | 1684:1378 | 39 |
| ლე მანი | 21 | 15 | 6 | 1780:1670 | 36 |
| პო ორტეზი | 20 | 14 | 6 | 1641:1480 | 34 |
| სტრასბური | 20 | 14 | 6 | 1630:1492 | 34 |
| შალონი | 21 | 13 | 8 | 1530:1472 | 34 |
| ნანსი | 21 | 12 | 9 | 1662:1614 | 33 |
| დიჟონი | 20 | 12 | 8 | 1538:1429 | 32 |
| რასინგი | 21 | 11 | 10 | 1583:1581 | 32 |
| შოლე | 21 | 10 | 11 | 1669:1628 | 31 |
| ანტიბი | 21 | 9 | 12 | 1651:1669 | 30 |
| გრაველინი | 20 | 8 | 12 | 1658:1682 | 28 |
| ბურგი | 21 | 7 | 14 | 1580:1700 | 28 |
| მონპელიე | 20 | 7 | 13 | 1637:1777 | 27 |
| ევრე | 21 | 5 | 16 | 1617:1799 | 26 |
| ლე აგრი | 21 | 5 | 16 | 1569:1827 | 26 |
| ბეზანსონი | 21 | 4 | 17 | 1506:1737 | 25 |

# გადავარჩინოთ დათვები

**ცხელი** დღეები უდგათ ვანკუვერელ „დათვებს“. არაა გამორიცხული, კანადას ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდ ოჯახში ერთი წევრი, „ტორონტო რეპტორზილა“ შერჩეს, რადგან „ნბა-ს ციმბირად“ წოდებული ვანკუვერი ვერ გამოდგა ნოყიერი ნიადაგი კალათბურთისთვის. პლანეტის უძლიერესმა საკალათბურთო ლიგამ შვიდი წლის წინ, 1995 წელს გაუღო კარი ორ კანადურ გუნდს, მაგრამ თუ ტორონტოელმა „დინოზავრებმა“ მყარად მოიკიდეს ფეხი ნბა-ში, ვანკუვერელი „დათვები“ დღემდე ვერ გამართულან წელში. გუნდისთვის დღემდე მიუწვდომელი სიმაღლეა პლეი ოფი. „გრიზლიზს“ შინაური თამაშების ჩატარება სანახევროდ ცარიელ დარბაზში უწევს, არ იყიდება მაისურები და სხვა ატრიბუტიკა გუნდის სიმბოლიკით, „ვანკუვერის“ თამაშების ტელეტრანსლაციას მოგება ვერ მოაქვს, ორი წლის წინ კი კლუბმა სულაც მომავალ სუპერვარსკვლავი, დღეს „ჰიუსტონ როკეტსის“ ლიდერი სტივ ფრენსისი დაკარგა, რომელსაც პირდაპირ განუცხადებია, მაგ გუნდში ერთ მატჩსაც არ ვითამაშებო და გაცვლა მოუთხოვია, არადა, დრაფტში სწორედ „ვანკუვერმა“ აირჩია. ერთი სიტყვით, დრო გადის, „დათვები“ კი ერთ ადგილს ტკეპნიან. შარშან კლუბის ძველმა მფლობელმა განაცხადა, ამ საქმეში წაგების მეტი არაფერი მინახავსო და „ვანკუვერი“ ჩიკაგოელ მილიონერს მაიკლ ჰეისლის მიყიდა. დიდი ხანი არ გასულა და ამ უკანასკნელსაც დააწვა მხრებზე ჯაგლაგი გუნდის სიმძიმე. ერთ წელიწადში ბატონმა ჰეისლიმ 40 მილიონი დოლარით იზარალა, რამაც, ცხადია, გვარიანად შეაშფოთა და გადაწყვიტა, მწირი კანადიდან ბარაქიან შტატებში გადაასახლოს „დათვები“. იგი დღესაც შესაფერის ქალაქს ეძებს თანამედროვე დარბაზითურთ.

თითქოს რა პრობლემა უნდა იყოს ეს, „გრიზლიზი“ პირველი არ იქნება, ვისაც სხვა ქალაქში გადაბარგება მოუწევს, მაგრამ ვანკუვერშიც გამოჩნდა ხალხი, ვისაც გუნდზე გული შესტკივა. მათ ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია, რომელსაც დაარქვეს „გადავარჩინოთ დათვები“ და ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს მისაღები აუტალახეს, არიქა, გუნდი გველუპება და რამე გვიშველეთო. ნბა-ს მამამ „დათვების“ გულშემატკივრები მიიღო, ესაუბრა და შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა. ის კი უთხრა, თქვენც მიდექ-მოდექით და ვანკუვერში ვინმე ჯიბესქელი მონახეთ, რომელიც სხვაზე მეტად გაუფრთხილდება გუნდსო და „დათვების“ კეთილისმსურველნი 26 მარტისთვის დაიბარა.

ისე, დევიდ შტერნის დაპირება ბევრს ნიშნავს. იგი საკუთარ სიტყვას უფრთხილდება და იმითაც შეუძლია იამაყოს, რომ მისი ზეობის დროს არც ერთ გუნდს არ გამოუცვლია ნავსაყუდელი. რამდენიმე წლის წინ მან ქალაქ მინეაპოლისში გადაარჩინა კალათბურთი, გაჭირვების ჟამს თავისი ყოვლისშემძლე ხელი წააშველა „მინესოტა ტიმბერვულვზს“, რომელმაც მძიმე წლები გადაიტანა და დღეს უკვე არაფერი უჭირს. შარშან კი სწორედ შტერნი დაეხმარა „ვანკუვერს“ და ახალი მფლობელი მაიკლ ჰეისლი უშოვა. სხვა საქმეა, თუ როგორ გაამართლა ჰეისლიმ. არაა გამორიცხული, „ვანკუვერის“ მყიდველი არ გამოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ჰეისლიმ უკვე შეიგულა რამდენიმე ქალაქი, რომელთაგან ერთ-ერთში გადაასახლებს „დათვებს“. მთავარი კანდიდატები ახალი ორლეანი და მემფისი არიან, არც ანაჰაიმს, ლუისვილს და ნეშვილს დაუკარგავთ შანსი, ნბა-ს ოჯახში შეაბიჯონ.

**ივანე ძოწიაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

## ჩემპიონს პერსონალური გრაფიკი

ჩრდილოეთ ქვეყნების საკალათბურთო ლიგაში მონაწილეობამ საქართველოს ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს“ ეროვნულ პირველობაზე თამაში გადაუვადა. ზღვისპირელებს, მოგეხსენებათ, ექვსეულის სამი თბილისური მატჩი გაუცდათ და ვერც 21-22 მარტს უმასპინძლებენ მეტოქეებს, რადგან ეროვნული ჩემპიონატისა და NEBL-ის ვადები ერთმანეთს დაემთხვა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, ცხადია, „ბასკოს“ ანგარიში გაუწია და სულ ახლახან ჩემპიონს ახლებური განრიგი დაუკანონა:

| | |
|---|---|
| 25 მარტი | ბასკო — მაკაბი |
| 26 მარტი | ბასკო — სტუ |
| 12 აპრილი | მაკაბი — ბასკო |
| 13 აპრილი | აგროტი — ბასკო |
| 14 აპრილი | სტუ — ბასკო |

ექვსეულის მესამე წრე, რომელიც ტურად გაიმართება, 17 აპრილს ვერის ბაღში დაიწყება. 26 აპრილიდან კი პლეი ოფის ნახევარფინალები ჩატარდება.

**გიორგი გიქაშვილი**

## ბასკო ბოლოა

ბათუმის „ბასკომ“ წარუმატებლად დაასრულა ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის“ მეორე ჯგუფური ეტაპი. გუშინ „ბასკომ“ მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი დათმო ჰოლანდიურ „კონესკოსთან“ — 74:82. ბათუმელები პირველი ტაიმის შემდეგ 36:34 იგებდნენ, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ჰოლანდიელებმა ზედიზედ რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს და მოგება დაიბევეს. ბასკოელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ სერგეი დროჟანოვი (28 ქულა) და ვახტანგ ნაცვლიშვილი (23 ქულა).

NBA. რეგულარული ჩემპიონატი


REUTERS სპეციალურად

სიეტლი — ფილადელფია. ფილადელფიელი აარონ მაკი (ბურთით) და გერი პეიტონი

# ქორული ბრჭყალი ჩემპიონს

**19 მარტი**

**სან ანტონიო 98:86 პორტლენდი**

**სან ანტონიო: ანდერსონი (28 ქულა, 10 მოხსნა), დანკანი (20 ქულა, 23 მოხსნა, 6 დაფარება)**

**პორტლენდი: სმიტი (23), უოლესი (20)**

**სიეტლი 93:89 ფილადელფია**

**სიეტლი: პეიტონი (29), ბეიკერი (18)**

**ფილადელფია: მაკი (21), მუტომბო (14 ქულა, 10 მოხსნა)**

**ატლანტა 108:106 ლეიკერსი**

**ატლანტა: ტერი (36), კუკოჩი (26), ჰენდერსონი (15)**

**ლეიკერსი: ო'ნილი (27 ქულა, 13 მოხსნა), ბრაიანტი (27 ქულა, 12 მოხსნა), ფოქსი (17)**

კვლავ წააგო „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“, უკვე მეექვსედ ბოლო შვიდ შეხვედრაში და ორი კვირის წინ დასავლეთის კონფერენციაში პირველ ადგილზე მყოფი მეექვსეზე დაქვეითდა. სადღაა ამ გუნდის სიამაყე, ჩემპიონობისკენ მომზირალ „ბლეიზერსს“ გამარჯვებათა გასაღები დაუკარგავს და ყველასთან აგებს. მართალია, „სან ანტონიო“ „ფველა“ არ არის, ბოლო-ბოლო, დასავლეთში პირველობს და „პორტლენდი“ იქნებ სხვა დროსაც დაემარცხებინა, მაგრამ „ბლეიზერსის“ ქომაგთ „სან ანტონიოსთან“ მარცხზე მეტად თავიანთი ჯილას თამაშის ხარისხი აშფოთებთ. ხარისხი კი სწორედ რომ სავალალოა და ჩემპიონობის კი არა, პლეი ოფის პირველი წრის გავლის გარანტიასაც არ იძლევა.

„სან ანტონიოს“ ლიდერს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს კალათბურთელს ტიმ დანკანს ყოველთვის უჭირდა პორტლენდელ რაშიდ უოლესთან ჭიდილი. კიდევ ერთი ვეება სანანტონიოელი, დევიდ რობინსონი კი ყმაწვილკაცობიდან დღემდე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუმწარებია ვოლესის თანაგუნდელ არვიდას საბონისს, თუმც 19 მარტს დანკან-რობინსონის დუეტმა აშკარად დაჯაბნა პორტლენდელები. საბონისმა თამაში ოთხი ქულით დაასრულა, რობინსონმა — 15-ით. იგი, ალბათ, ათიოდე ქულით მეტს მაინც მოინაგრებდა, ამის საჭიროება რომ ყოფილიყო, მაგრამ „სან ანტონიო“ იოლად იგებდა და ბებერი „ადმირალი“ ძალებს გაუფრთხილდა.

„პორტლენდმა“ პირველივე წუთებიდან დაყარა ფარ-ხმალი და საწყისი მეოთხედი 18:29 წააგო, რის შემდეგაც მთელი დარჩენილი დრო ამაოდ იფაფხურა. როგორც კი სტუმრები რამდენიმე ქულით ამცირებდნენ სხვაობას, „სან ანტონიო“ მყისვე წყდებოდა მეტოქეს. ან კი რა უნდა ექნა „პორტლენდს“, როცა მის რიგებში ოდენ სათადარიგო სტივ სმიტი ირჯებოდა საკადრისად.

საერთოდ, 19 მარტი ბობოლათა დაცემის დღე გახლდათ: „პორტლენდს“ „ლეიკერსი“ და „ფილადელფიაც“ მიჰყვნენ. ჩემპიონი „ლეიკერსი“ უხეირო „ატლანტას“ სტუმრობდა და ვერ წარმოიდგენდა, თუ შინ მარცხნაჭამი მობრუნდებოდა. ფილ ჯექსონის ნაქებ ბიჭებს ლახვარი მათი დამრიგებლის გაწვრთნილმა ტონი კუკოჩმა ჩასცა, რომელიც „ფილადელფიაში“ პაიკი გახლდათ, „ატლანაში“ კი ლიდერად იქცა და ფრთებჩამოყრილი „ქორები“ გამოაცოცხლა, თან ისე, რომ მათი ბრჭყალები ჩემპიონმაც კი იგრძნო. წინა სეზონის ტრიუმფატორები კი განსაკუთრებით ვინმე ჯეისონ ტერიმ დააქცია, რომელსაც შარშან ატლანტელთა გარდა ორიოდ კაცი თუ იცნობდა, წლეულს კი შორს გავარდნია სახელი.

„ლეიკერსს“ თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებმა. შეხვედრის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე სტუმარმა რიკ ფოქსმა სამქულიანით 102:100 დააწინაურა თავისიანები. მერე კი ჩემპიონმა „ქორებისგან“ ზედიზედ შვიდი ქულა მიიღო საკუთარ კალათში, 56 წამით ადრე კუკოჩმა სამიანით 107:102 წინ გაიყვანა თავისიანები. ცხადია, „ლეიკერსი“ უხეირო მეტოქესთან მარცხს ვერ შეეგუებოდა და ფოქსმა და კობი ბრაიანტმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, რასაც ტერიმ ერთი საჯარიმოთი უპასუხა. ჩემპიონებს მატჩის სახსნელად კიდევ რჩებოდათ ექვსი წამი, მაგრამ ბრაიანტმა ბოლო წამზე ააცილა და მასპინძლები აზეიმა.

ნაკლებად მოულოდნელი გახლდათ „ფილადელფიას“ სიეტლური მარცხი, რადგან „სიქსერზი“ ლიდერსა და ლიგის უპირველეს მექულეს, ალენ აივერსონს მოისაკლისებდა, რომელიც თეძოს იტკივებს. „ფილადელფიამ“ აივერსონის არყოფნაში მეორედ წააგო, სულ კი „სიეტლთან“ მარცხი მისთვის ზედიზედ მესამედ გახლდათ. მიყოლებით ამდენი ლიგის საუკეთესო გუნდს ამ სეზონში მანამდე არ წაეგო. „სიეტლმა“ კი ზედიზედ მეექვსედ იზეიმა გამარჯვება, თან იქაურებმა გული გაიმაგრეს, ჯერ ყველაფერი დაკარგული არაა, კიდევ შეიძლება პლეი ოფში მოხვედრაზე ფიქრიო. „სიეტლს“ დღეისთვის 37 მოგება მოუგროვებია, დასავლეთში მეათეა და მერვეადგილოსან „მინესოტას“ ორი გამარჯვებით ჩამორჩება.

**ირაკლი ფირცხალავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS ვანკუვერიდან

# ნამხდარი

აი, შავი დღე. „ოტავა სენატორზის“ ნირწამხდარი მეკარე პატრიკ ლალიმი ყინულს დალასელ ქომაგთაგან ნასროლი ქუდებისგან ასუფთავებს. „ოტავამ“ ხუთი მშრალი გოლი გაუშვა „დალას რეიუნიონ არენაზე“. აქედან სამი განთქმულმა ბრეტ ჰალმა შეაგდო ლალიმის კარში და ქუდების სროლაც ბრეტის ჰეთ თრიკს მოჰყვა.


REUTERS ოტავადან

# ვანკუვერული ცეკვები

ვანკუვერში ფიგურული სრიალის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. სადაც ეს ამბავია, იქ ლამაზი ფოტო არ გამოილევა. ფრანგულმა წყვილმა, სარა აბიტოლმა და სტეფან ბერნადიმ ეს რაუნდი მეშვიდე ადგილზე დაასრულეს, მაგრამ როიტერის ფოტოყულაბაში მაინც მოხვდნენ.


REUTERS კრაისტჩერჩიდან

# ალლაჰ...

კრაისტჩერჩში კრიკეტია. ახალზელანდიელები პაკისტანელებს ეტაფელებიან. მეორე ტესტის ბოლო დღეს მასპინძელთა მტყორცნელებმა ვერაფერი დააკლეს ბჭისდამცველ პაკს, საყლან მუშტაყს და ამანაც ხელის გამართვისათვის ალაჰს შესწირა მადლობა.

# კარლ ლუისის აზრით

ჩინეთის დედაქალაქ პეკინს სტუმრობს ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ერთ დროს პლანეტის უსწრაფესი ადამიანი კარლ ლუისი. ეს დიადი ამერიკელი პეკინში სპორტული მარკეტინგის კონფერენციაზე ჩასულა და მეტად საჭირო და ჭკვიანური ლექციაც წაუკითხავს მოჩიტული ჩინელი სპორტის ბიზნესმენებისთვის. ლუისი საერთოდაც პირველადაა ჩინეთში და იქაურ სპორტულ მეურნეობას მეტად მზარდ და პერსპექტიულ რამედ მიიჩნევს.


REUTERS პეკინიდან

# ინდოთაგან ძლეული

დაკაში ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრის ოქროს თასის გათამაშება მიმდინარეობს ბალახის ჰოკეიში. ფოტოზე ხედავთ, როგორ გაშხლართულა ეგვიპტელი აჰმედ ტალატი, ხოლო ჰინდუ ბალჯით სინგჰ დილონი ეგვიპტელთა კარისკენ მიიწევს. რა სალაპარაკოა, ინდოელებს 8:0 მოუგიათ არაბებისთვის.


REUTERS დაკადან

# ვაჰ, დრონი, დრონი

ეს მხცოვანი კაცი ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ღვაწლმოსილი მწვრთნელი ჯერი ტარკანიანი გახლავთ. მეთვრამეტე წელიწადია მისტერ ტარკანიანი საუნივერსიტეტო გუნდებს ხელმძღვანელობს და ერთხელ ჩემპიონიც ყოფილა, რაც საუცხოო მიღწევაა. ამ ჯერზე მის გუნდს, ფრესნოს სახელმწიფო უნივერსიტეტს უჭირს. „მემფის პირამიდ არენაზე“ ფრესნოელები სულ იოლად 81:65 დაუმარცხებიათ მიჩიგანელებს.


REUTERS მემფისიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge